MES 4 21 0000726083

20/07/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 09.07.2021
სხდომის დაწყების დრო: 15:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 23:55სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათიაზედგინიძე-ჯიშკარიანი
საბჭოს მდივანი: მარიამშენგელია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი -** სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინო იმნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მარიამ შენგელია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
5. **გაიანე სიმონია -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
6. **ნინო ინასარიძე -** „CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი;
7. **ნინოჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
8. **ანზორ ბერიძე -** სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;
9. **გაიოზ ფარცხალაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
10. **ელიზბარ ელიზბარაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
11. **ანა ფირცხალაშვილი -** შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" სამეცნიერო კველვების მიმართულებით ვიცე-რექტორი;
12. **გიორგი ღაღანიძე -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
13. **დავით კაპანაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
14. **დიანა მჭედლიშვილი -** შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
15. **ეკატერინე ნაცვლიშვილი -** შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
16. **თამარ ჩხეიძე -** სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
17. **თეონა მატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	ქეთევან ინანაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
3	სანდრო ტაბატაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
4	ანი ლელაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
5	თამთა მოხევიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
6	ანა ჯავახიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულება	სტატუსი	საკითხი
1	ნინო ენუქიძე		უნივერსიტეტის რექტორი	I

2	ზვიად გაბისონია	შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	I
3	ნინო ბერელიძე		მრჩეველი კვალიფიკაციებისა და პროგრამული განვითარების მიმართულებით	I
4	ელენე მამუკელაშვილი		ფაკულტეტის დეკანი	I
5	თამარ გვინიაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I
6	თეიმურაზ ქორიძე	შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი	რექტორი	II
7	თამარ ტუფინაშვილი		ხარისხის უზურნველყოფის სამსახურის უფროსი	II
8	თემურ (პოლიკარპე) მონიავა		პროგრამის ხელმძღვანელი	II
9	გიორგი გოგიაშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	II
10	თამარ სადრაძე		პროფესორი	II
11	ნინო გაგუა		სამართლის სკოლის დეკანი	II
12	რომეო გალდავა	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	III-IV
13	ვეხფია გვარამია		აკადემიური პერსონალი	III-IV
14	გვანცა აბდალაძე		აკადემიური პერსონალი	III
15	ვალერი ჩეჩელაშვილი		აკადემიური პერსონალი	III
16	ზურაბ ხონელიძე		რექტორი	II-III
17	ასმათ გუგავა		დაწესებულების წარმომადგენელი	IV
18	ლალი გაბისონია		დაწესებულების წარმომადგენელი	IV
19	ედიშერ ფუტკარაძე		დაწესებულების წარმომადგენელი	IV
20	დავით მახვილძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	V-VI
21	თამარ ლომინაძე		დეკანი	V-VI
22	ქეთევან კოტეტიშვილი		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	V-VI
23	ნანული დანელია		ავტორიზაციის და აკრედიტაციის განყოფილების უფროსი	V-VI
24	დავით ნატროშვილი		მათემატიკის დეპარტმენტის უფროსი	V
25	შოთა ზაზაშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	V
26	ზვიად ღურწკაია		პროგრამის ხელმძღვანელი	VI

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაციაელექტრონული საშუალებითმონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ნინო დოლიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ნინო ფარსადანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ნანა არაბული	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ია ნაცვლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I, VI
5	ლაშა ლალიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
6	ლევან ჯაყელი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	ნინო ლიპარტია	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	ზვიად როგავა	(ჩაერთო „ზუმით“)	II
9	სოფიო უგრეხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
10	სესილი ქადარია	(ჩაერთო „ზუმით“)	II
11	გიორგი გვალია	(ჩაერთო „ზუმით“)	III
12	ნინო ფავლენიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
13	ნანა ფირცხელანი	(ჩაერთო „ზუმით“)	IIII
14	გიორგი მახარობლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
15	მაკა კარტოზია	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
16	ხათუნა საგანელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
17	თამაზ ბიჭიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს - ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "ციფრული მმართველობისა და ხელოვნური ინტელექტის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმებით გზით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მათემატიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმებით გზით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიოსამედიცინო ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმებით გზით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· **არა**

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს - ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "ციფრული მმართველობისა და ხელოვნური ინტელექტის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმებით გზით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მათემატიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმებით გზით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიოსამედიცინო ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმებით გზით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

პირველი საკითხი: შპს - ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "ციფრული მმართველობისა და ხელოვნური ინტელექტის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი Digital Governance and Artifical Intelligence
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5		-

	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-8
9	კვალიფიკაციის დასახელება	საჯარო მმართველობის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	არაუმეტეს60 ECTS-ის კრედიტი(სასწავლო კომპონენტი)
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0162, ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N82
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

აკრედიტაციისსაბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო დოლიძემ, აღნიშნა, რომ ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 14 მაისს სრულად ონლაინ რეჟიმში. მან აღნიშნა, რომ საჯარო მმართველობის კვალიფიკაციით წარდგენილი სადოქტორო პროგრამა თითქმის სრულადაა შესაბამისი სტანდარტთან, თუმცა, მე-2 სტანდარტთან მიმართებით, ის მეტწილად შესაბამისობაშია. მან ასევე დაამატა, რომ, ამ მხრივ, გასათვალისწინებელია 2.1 და 2.2. და 2.3 ქვესტანდარტები. მან

აღნიშნა, რომ მთავარი საკითხი არის კვალიფიკაციასთან შესაბამისობის საკითხი. მისი თქმით, დაწესებულებამ ამომწურავად უპასუხა შეკითხვას ციფრული მმართველობისა და საჯარო მმართველობის კვალიფიკაციის საკითხს. მანვე აღნიშნა, რომ პროგრამა შემუშავდა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ასევე პროგრამას ეყოლება დამსაქმებლები და ამდენად, ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ შესაძლებელია, რომ ეს გავიდეს კვალიფიკაციაზე. მან აღნიშნა, რომ რჩევის სახით თქვეს, ხომ არ იქნება შესაბამისი მენეჯმენტის კვალიფიკაცია. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საყურადღებო იყო პროგრამაზე წინაპირობის საკითხი, მათ შორის კანდიდატთა გამოკითხვა. მან აღნიშნა, რომ აუცილებელია დეტალურად იყოს აღწერილი - რა ფორმით და რა სახით იქნება გამოცდა, ტესტირება, ღია კითხვები თუ გასაუბრება და რა შინაარსებს დაფარავს მოცემული საკითხი. მან აღნიშნა, რომ ამ საკითხზე პასუხად მათ პროგრამის ხელმძღვანელისგან მიიღო პასუხი, რომ კონკრეტულად გამოცდის წინ ეს საკითხი კარგად იქნებოდა ახსნილი და გათვალისწინებული იქნებოდა სამუშაო გამოცდილება საჯარო სექტორში. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაამატა, რომ მნიშვნელოვანია გამჭვირვალობა და ამდენად, აუცილებელია, შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის თემატიკისა და საკითხების განსაზღვრა და კანდიდატებისათვის შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზურუნველყოფა, ასევე საჯარო პოლიტიკის ანალიზის საკითხების სატესტო საკითხებში დამატება. გარდა ამისა, მისი თქმით, მნიშვნელოვანია მისაღები პროცედურების სხვადასხვა ეტაპის მიხედვით ქულების მინიჭების, რეიტინგული სიების დადგენის გამჭვირვალე სისტემის შექმნა, ხოლო, აღნიშნული ეტაპებიდან გათავისუფლების შემთხვევაში შეფასების კრიტერიუმების დაზუსტება. მან ასევე აღნიშნა, რომ აუცილებელია, გადაიხედოს შესაძლებლობა, პროგრამისათვის მენეჯმენტისა და ადმინისტრაციის კვალიფიკაციის მინიჭებისა, ან გაძლიერდეს სასწავლო კომპონენტში საჯარო მმართველობის და საჯარო პოლიტიკის სწავლება შესაბამისი კურსების დამატებით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აუცილებელია კანდიდატებისთვის იყოს გასაგები როგორ ხდება გარკვეული სასწავლო კურსებისგან გარკვეული ადამიანების გათავისუფლება. რაც შეეხება 2.2 კომპონენტს, მისი თქმით, ერთ-ერთი რეკომენდაცია არის ის, რომ შეიძლება კვალიფიკაცია შეიცვალოს, ვინაიდან საჯარო მმართველობა საკმაოდ ავიწროებს გამოსაყენებელ სივრცეს და ჯობს, უფრო ფართო კვალიფიკაციის მიცემა, მაგალითად მენეჯმენტის. მან ასევე აღნიშნა, რომ თუ არ შეიცვლება კვალიფიკაცია მნიშვნელოვანია საჯარო პოლიტიკისა და პოლიტიკის ანალიზის მიმართულებით სასწავლო კურსების დანერგვა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე განმარტა, რომ კურიკულუმში ერთადერთი საკითხი, რომელიც მოიცავს საჯარო მმართველობის თემებს არის ციფრული მმართველობა, თუმცა, ის ვერ ფარავს საჯარო მმართველობის კვალიფიკაციას, ამდენად, მისი თქმით, ასეთი მოცულობის სასწავლო კურსის ათვისება უნდა გულისხმობდეს ან წინარე ცოდნას დარგში ან გამყარებას. მან ჩამოთვალა ციფრული მმართველობის სასწავლო კურსში არსებული საკითხები და დაამატა, რომ ექსპერტთა ჯგუფის თქმით, აუცილებელია, პროგრამისა და სილაბუსის საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის შინაარსით გაძლიერება. მან აღნიშნა, რომ პროგრამაში სამეცნიერო კომპონენტი არის არა მხოლოდ სადისერტაციო ნაშრომი, არამედ სამეცნიერო-კვლევითი პროექტი და პროსპექტუსი და აღნიშნა, რომ ზემოთჩამოთვლილი საკითხები, გავრცელებული პრაქტიკით, სასწავლო კომპონენტებია. შემდეგ, ნინო დოლიძემ წაიკითხა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები:

განისაზღვროს სამეცნიერო კვლევის პროექტისა და პროსპექტუსის დანიშნულება და შინაარსი, თუ ორივე ერთსა და იმავე კომპონენტს წარმოადგენს, დაზუსტდეს დასახელება და განესაზღვროს სავალდებულო სტატუსი. ასევე, განისაზღვროს სადოქტორო სემინარის შინაარსი და განსხვავდეს ის როგორც სამეცნიერო კვლევის პროექტისა და პროსპექტუსისაგან, ასევე ზოგადად, სადისერტაციო ნაშრომის თემატიკისაგან;

ძირითად სასწავლო კურსებში ერთზე მეტი სავალდებულო ლიტერატურის მითითება, მაგ კურსი „ხელოვნური ინტელექტი როგორც მეცნიერება“ - სილაბუსების აგება არა მხოლოს ძირითადი სახელმძღვანელოების მიხედვით, არამედ დარგში უახლესი სამეცნიერო მიღწევების

ამსახველი სტატიებითაც („ხელოვნური ინტელექტი, როგორც მეცნიერება“, „სადისერტაციო ნაშრომის დიზაინი და მენეჯმენტი“;
ძირითად კურსებში „სწავლების თანამედროვე მეთოდები“ და „კვლევის მეთოდები“, ძირითადი სახელმძღვანელოების შეადრებით ახალი გამოცემების გამოყენება;
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ დარგი ქართულენოვან აკადემიურ სივრცეში დაგრი ახალია და, ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ კურიკულუმში დარგის უახლესი სამეცნიერო კვლევის მიგნებები იყოს ასახული. მან ასევე დაამატა, რომ პროგრამა უნიკალური და განსხვავებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ენუქიძემ, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფსა და აკრედიტაციის საბჭოს. მან აღნიშნა, რომ სამი წლის წინ საქართველოს მთავრობის ინიციატივით, დაიწყო ციფრული მმართველობისა და ხელოვნური ინტელექტის სტრატეგიის შემუშავება და ასევე, ორი წლის წინ, აბრეშუმის გზის ინიციატივაზე ერთ-ერთი პანელი სწორედ ამ საკითხის ეროვნული სტრატეგიის განხილვას დაეთმო. მისი თქმით, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი ვიზიტით იმყოფებოდა გაეროში და შეხვდა შესაბამის ერთეულს, რომელიც პასუხისმგებელია სხვადასხვა ქვეყანაში ციფრული მმართველობის ეროვნული სტრატეგიების შემუშავებაზე. მან ასევე აღნიშნა, რომ შეხვედრა ჰქონდათ უცხოურ უნივერსიტეტთან, რომელსაც აქვს გამოცდილება სწორედ ციფრული მმართველობის მიმართულებით. მან აღნიშნა, რომ დადებითი უკუკავშირის მიღების შემდეგ, გადაწყდა საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა. ასევე, მან აღნიშნა, რომ სხვადასხვა მრავალი სასწავლო კურსის სწავლება არაა საჭირო, რადგან მიღების წინაპირობები ეს ისედაც ამას ითვალისწინებს. გარდა ამისა, მისი თქმით, აღსანიშნავია, რომ სილაბუსში არ უნდა იყოს გაწერილი სამეცნიერო კვლევებისა და უახლესი აკადემიური ლიტერატურის კურიკულუმში გაწერის საკითხი. ასევე, მისი ხედვით, ინგლისურის ენის დამატება არაა საჭირო, რადგან, ეს ისედაც არის წინაპირობა. მან ასევე აღნიშნა, რომ მოცემული კვალიფიკაცია - საჯარო მმართველობაში - გადის პროგრამის მიზნებზე.

ინგლისურთან დაკავშრებით ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნული პროგრამაში მოცემულია როგორც არასავალდებულო საგანი, შესაბამისად ექსპერტთა აზრით თუ დადგა მეტად საჭირო საგნის პროგრამაში განსაზღვრა, მოცემული შეიძლება განხორციელდეს სწორედ ინგლისური ენის სასწავლო კურსის ხარჯზე.

დაწესებულების წარმომადგენლმა, თამარ გვიანიშვილმა, აღნიშნა, რომ ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს. მისი თქმით, დაწესებულება რეკომენდაციებს სასარგებლო რჩევებად განიხილავს. მისი თქმით, რეკომენდაციების უმეტესობა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის საკითხებს ნაკლებად მოიაზრებს.დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული პირველი რეკომენდაცია და აღნიშნა, რომ ინსტიტუცია იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციას, შესაბამისად, სატესტო საკითხებში საჯარო პოლიტიკის ანალიზის საკითხები დაემატება იმ მოცულობით, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლიან საგამოცდო საკითხების შემმუშავებელი დარგის სპეციალისტები. თუმცა არ შეიძლება გაზიარებული იქნეს რეკომენდაციის მეორე ნაწილი, ვინაიდან, გამოცდის ჩატარება ნიშნავს საკითხების არსებობას და დაშვების წინაპირობები ისედაც საკმარისად გამჭვირვალეა, რადგან, მისი თქმით, ის ვებ-გვერდზე იდება და საჯაროა ყველა დაინტერესებული პირისთვის. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის დებულება და სადოქტორო პროგრამის მარეგულირებელი დებულება ატვირთულია დაწესებულების ვებ-გვერდზე საჯაროდ და,

ამდენად, მისი თქმით, ეს ისედაც არსებობს. თამარ გვიანიშვილმა აღნიშნა, რომ ქულობრივი განაწილება და შეფასების კრიტერიუმები არსებობს და ეს ვიზიტის დროს მიეწოდათ ექსპერტებს. მან აღწერა ის პროცედურა, რაც გულისხმობს კანდიდატების საბოლოო რანჟირებულ სიაში განაწილებას, რაც ხდება კომისიური წესით, ხოლო, შემაჯამებელი ქულა არის საშუალო არითმეტიკული. შესაბამისად, მისი თქმით, უკვე გამოცხადებული ვაკანტური ადგილების შემთხვევაში, ქულების გათვალისწინებით ხდება ამ თუ იმ კონკურსანტისთვის პრიორიტეტის მინიჭება და ჩარიცხვის უფლების მიცემა. მან აღნიშნა, რომ თანაბარქულიანი კონკურსანტის შემთხვევაში, მხედველობაში მიიღება სამეცნიერო საქმიანობა და დოქტორანტის სხვადასხვა აქტივობები, რომლებიც მნიშვნელოვანია პროგრამის მიზნებისთვის. ტესტირებასთან დაკავშრებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ტესტირება არის ერთ-ერთი ეტაპი ჩარიცხვის, ისევე როგორც საბუთების წარდგენა და შესაბამისობის დადგენა. ტესტირების მიზანია, რომ კონკურსანტმა მინიმალურ დონეზე დაადასტუროს მზაობა და უნარი დაძლიოს მოცემული პროგრამა და განახორციელოს კვლევა. ამისთვის კი დადგენილია მინიმალური ზღვარი, 50% მაქსიმალური შესაძლო ქულის. მისი თქმით, აღნიშნული ქულა არ მიიღება მხედველობაში ჩარიცხვისას, მოცემული ქულა წარმოადგენს კომპეტენციის დადასტურებას, რაც აძლევს კონკურსანტს შესაძლებლობას გადავიდეს კონკურსის მომდევნო ეტაპზე, ანუ საკონკურსო კომისიასთან გასაუბრების ეტაპზე. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ შემდეგი რეკომენდაცია კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ, არ იქნება გაზიარებული დაწესებულის მიერ, რადგან მთელი პროგრამა ისედაც საჯარო მმართველობაზეა აგებული. მან აღნიშნა, რომ ვინაიდან არჩევითი სასწავლო კურსები არ მონაწილეობენ პროგრამის სწავლის შედეგებში და მათ მიღწევაში, ხოლო პროსპექტუსი იყო არჩევითი სასწავლო კურსი და გაუქმდა, ამდენად, ექსპერტთა ჯგუფს, დაეთანხმნენ. მისი თქმით, სემინარი ან სამეცნიერო-კვლევითი პროექტი არაა განყენებული სასწავლო კურსი და, არ ხდება კრედიტების მინიჭება. მისი თქმით, მოცემულ საკითხებს განიხილავს დარგობრივი კომისია და უწევს პერიოდულ რეკომენდაციებს. ანალოგიურად, მისი თქმით, სადოქტორო სემინარი, აღნიშნული არის ეტაპობრივი შემოწმება, თუ რამდენად სწორად მიდის დასახული მიზნისკენ დოქტორანტი და მისი ხელმძღვანელი და ხომ არ სჭირდებათ რაიმე დახმარება. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაცია იმის შესახებ, რომ ერთზე მეტი ნაშრომის აუცილებელი, არაა სწორი ფორმულირება, რადგან ორი ან მეტი ერთზე აუცილებლად მეტია, ამდენად, საჭიროა უფრო მეტი კონკრეტიკა. მან დაამატა, რომ მეტი სიცხადისთვის, უმჯობესი იქნება, ექსპერტებმა მეტი დახმარება გაუწიონ ამ მიმართულებით რეკომენდაციების. მისი თქმით, ყოველ წელს შეიძლება აქტუალურობის საკითხები იცვლებოდეს და აკრედიტაციის მინიჭების შემთხვევაში, იქნება შესაძლებელი. მისი თქმით, შედარებით ახალი გამოცემების ცნებაც საკმაოდ ბუნდოვანია და საჭიროებს დაკონკრეტებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები:

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს მოუწოდა დაეზუსტებინა კვალიფიკაციის გადახედვის საკითხი. ასევე, ის დაინტერესდა, პერსონალთან დაკავშირებით გაუჩნდათ თუ არა კითხვები, ვინაიდან პერსონალის ნაწილი წარმოდგენილია მაგისტრების სახით, შესაბამისად, კითხვის ნიშნის ქვეშაა, რამდენად შესაძლებელია მათ მიერ სადოქტორო პროგრამის განხორციელება. გარდა ამისა, მისი თქმით, აღსანიშნავია ლექტორთა ნაწილის ძირითადი სფეროები, სადაც გვხვდება ანგლისტიკა, ფილოლოგია, ვხვდებით ასევე მედიცინის დოქტორებს, ფარმაცევტებს. მოცემულია ასევე ტექნოლოგიები მიმართულებით დოქტორი, თუმცა, ის დაინტერესდა, რამდენად შეესაბამება პერსონალის კვალიფიკაცია

0413.1.1 საჯარო მმართველობის სპეციალიზაციას. ასევე, საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ შრომის ბაზრის კვლევა არ შეესაბამება საჯარო მმართველობის სპეციალიზაციას და დაინტერესდა, რა პოზიცია ჰქონდა პროგრამასთან მიმართებით, დაწესებულებას.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა, აღნიშნა, რომ პროგრამა ინოვაციური და ახალია. ის დაინტერესდა, საბოლოო დასკვნასთან დაკავშირებით, თუ გადასახედია კვალიფიკაცია, მაშინ, როგორ შეიძლება სტანდარტები იყოს შესაბამისი ან მეტწილად შესაბამისი. მისი თქმით, კვალიფიკაციის გადახედვის შესახებ რეკომენდაცია გულისხმობს იმას, რომ პროგრამას აქვს სხვა შინაარსი და გადის სხვა შედეგზე. აქედან გამომდინარე, საბჭოს წევრმა კიდევ ერთხელ დააზუსტა ექსპერტებთან, თუ რამდენად არის საჯარო მმართველობის შესაბამისი წარმოდგენილი პროგრამა. საბჭოს წევრმა ასევე შეკითხვა დაუსვა დაწესებულებას და დაინტერესდა თუ რა იქნება კონკრეტული კვლევის სფეროები და, კონკრეტულად, ვინაა აკადემიური პერსონალი, ვინც ჩართულია ამ სფეროში. მან აღნიშნა, რომ ვერ დაინახა რა სამეცნიერო კვლევები აქვთ აფილირებულ აკადემიურ პერსონალს. მან აღნიშნა, რომ იცის პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია, თუმცა, ერთი ადამიანი ვერ იქნება გუნდი. გარდა ამისა, საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ როდესაც ხდება საჯარო მმართველობის დოქტორის ხარისხის მინიჭება, დაწესებულებაში საჯარო მმართველობის დოქტორების მაინც არის საჭირო, რადგან აუცილებელია, რომ ნაშრომის ხელმძღვანელები იყვნენ მოცემულ სფეროში გამოცდილების მქონე პირები.

საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულების თქმით, საჯარო მმართველობა არჩევა განაპირობა მოთხოვნამ თავად საჯარო სექტორიდან. საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რამდენად აუცილებელია საჯარო სეტქორში პირი იყოს დოქტორის ხარისხის მქონე, ვინაიდან, მისი ხედვით ხელოვნური ინტელექტის შემუშავების საკითხებიში მაგისტრიც შეიძლება იყოს საკმარისი. მან აღნიშნა, რომ მართალია პროგრამა ინოვაციურია, თუმცა, თუ საჯარო მმართველობის დეფიციტი არსებობს, მაშინ იქ ქვედა, სამაგისტრო საფეხურზე უნდა გავიდეს და არა სადოქტოროზე, სადაც, მთავარია კვლევა. მან ასევე იკითხა, არგუმენტირებულ პოზიციაში, რაზეა, საუბარი, რატომ წერია საჯარო მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი, შეიცვალა თუ არა პროგრამა სახელწოდება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შეცვლილია, რამ გამოიწვია აღნიშნული.საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ ასევე აღნიშნა კვლევის მეთოდოლოგიის კურსი, რომელიც ძალიან მძიმეა იმისთვის, რომ 30 საკონტაქტო საათში დაიფაროს, ვინაიდან, კვლევის მეთოდებს, ფაქტობრივად, ანალიზი უსწრებს წინ. მან აღნიშნა, რომ წარმოუდგენელია ერთ კვირაში ასწავლო რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ გაკვირვებულია 10 ქულიანი დავალებით, რაც მოიცავს პირველადი რაოდენობრივი კვლევის შეგროვებასა და ანალიზს. გარდა ამისა, სილაბუსში ხარისხობრივი და თვისობრივი ანალიზის ტერმინები შეცდომაა და არ არის მიზანშეწონილი მათი გამოყენება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო დოლიძემ აღნიშნა, რომ მისი შეცდომაა, ვინაიდან დიდი ხანი ფიქრობდნენ ექსპერტები უნდა ყოფილიყო თუ არა გადახედილი კვალიფიკაციის საკითხი. მან აღნიშნა, რომ იყო ორი არჩევანი. პირველი, როდესაც უნდა მოხდეს სტანდარტული პროგრამის შემუშავება, როცა აუცილებელია გარკვეული სასწავლო კურსები იმისთვის, რომ პროგრამა გავიდეს საჯარო მმართველობის სწავლის შედეგზე და მეორე, თუ მოხდება დახმარება კვალიფიკაციაზე გასვლის მიზნებისთვის. ამ თვალსაზრისით, აუცილებელია, მისაღებ გამოცდაზე, პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში, მკაფიოდ და გამჭვირვალედ ჩანდეს, რომ აპლიკანტს აქვს ამის შესაძლებლობა და გამოცდილება და სწორედ ეს გახდა რეკომენდაციის ჩამოყალიბების მიზეზი. მან აღნიშნა, რომ პროგრამის კვლევის აქცენტი არის სტრატეგიის შექმნა ციფრული მმართველობის მიმართულებით და, აქედან, აუცილებელია, გამოვიდნენ პოლიტიკური კურსის შემქმნელები, ძლიერი აკადემიური და კვლევითი უნარებით. მან განმარტა, რომ თუ დაემატება თემების შეფასება მისაღებ ეტაპზე და

სასწავლო კომპონენტში იქნება არჩევითი საგანი მათთვის ვისაც არ აქვს წინარე ცოდნა, მაშინ შესაძლებელია სწავლის შედეგებზე გასვლაზე საუბარი.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ნინო ფარსადანიშვილმა, აღნიშნა, რომ პროგრამის აკრედიტაციის პროცესში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ინტერნაციონალიზაციის მაღალ ხარისხს, ვინაიდან პროგრამა თავისი სილაბუსებითა და შინაარსით შეფასებულია სამი ევროპული უნივერსიტეტის მიერ. არსებობს აღნიშნული უნივერსიტეტების დასკვნები, რაც ასევე მოწმობს იმაზე, რომ ისინი მზად არიან დაუყოვნებლივ ითანამშრომლონ დაწესებულებასთან პროგრამის ფარგლებში, მას შემდეგ რაც ის მიიღებს აკრედიტაციას. ექსპერტმა გამოყო ლეიდენისა და ტალინის ტექნოლოგიების უნივერსიტეტები. რაც შეეხება აკადემიურ პერსონალს, პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილია მხოლოდ ორი მაგისტრი, რომლებიც არ უძღვებიან სავალდებულო სასწავლო კურსებს, მათ ძირითადად ეხებათ კვლევის მეთოდების მიმართულება, რომლის ჩაღრმავება შემდგომ უკვე ხელმძღვანელთან მუშაობით ხდება. მისი თქმით, ნიშანდობლივია, რომ პროგრამას ემსახურება ძირითადი საგნების კომპონენტში ის პროფესურა, რომელსაც აქვს მოცემული მიმართულებით გამოცდილება, როგორიც არიან ზვიად გაბისონია, რომელიც ამავდროულად არის პროგრამის ხელმძღვანელი, ასევე ხათუნა ბურკაძე მოქმედი პროფესორი. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ მედიკოსებთან დაკავშრებით ექსპერტთა ჯგუფსაც გაუჩნდა გარკვეული კითხვები. თუმცა პროგრამის მიხედვით მედიკოსი გამოყენებულია სამედიცინო სფეროში ციფრული მმართველობის გააზრებისა და შესაბამისი მიმართულების მიცემის მიზნებისათვის.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ აკადემიურ პერსონალს შორის არის არა ორი, არამედ სამი მაგისტრი, კერძოდ ინგლისური ენის, ბიზნეს ადმინისტრირებისა და კომპიუტერული მეცნიერებების.

ექსპერტმა, ნინო ფარსადანიშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ძირითადი აქცენტი, იყო ის, რომ მოეხდინათ სავალდებულო კომპონენტებში შესაბამისი გამოცდილების მქონე პერსონალის დადასტურება პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნებისათვის. მისი თქმით, დისკუსიების ფარგლებში ექსპერტების გაესაუბრნენ სავალდებულო სასწავლო კურსის ხელმძღვანელებს, სადაც ასევე ჰქონდათ კითხვების დასმის შესაძლებლობა. შესაბამისად, პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ ექსპერტებს კითხვები არ გაჩენიათ.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა ,,სადისერტაციო ნაშრომის დიზაინისა და მენეჯმენტის“ სასწავლო კურსი და დააზუსტა თუ რატომ არის აღნიშნული კურსი განსაზღვრული არჩევით სასწავლო კურსად. გარდა ამისა საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ მენეჯმენტს მოცემულ სასწავლო კურსთან კავშირი არ აქვს, რადგან თემატიკის მიხედვით აქცენტი კეთდება უშუალოდ სადისერტაციო ნაშრომის ტიპებსა და მისი აგების თავისებურებებზე. საბჭოს წევრმა, ასევე აღნიშნა, რომ მოცემულ სილაბუსში შეფასების ფორმატი არის ძალიან საინტერესო. მისი თქმით, თუკი ამ სასწავლო კურსის ძირითადი მიზანია დოქტორანტს გამოუმუშავდეს სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის უნარი, მაშინ ამ ჭრილში ის კრიტერიუმები, რომლებიც სილაბუსშია შემოთავაზებული რამდენად უზრუნველყოფს თუნდაც იმ ფორმულირებით სწავლის შედეგებზე გასვლას, როგორც სილაბუსშია გაწერილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ზვიად გაბისონიამ, აღნიშნა, რომ დასმულ საკითხებს იზიარებს. მან დაამატა, რომ აღნიშნული შინაარსით, ეს პროგრამა ერთადერთია აღმოსავლეთ ევროპაში. მისი თქმით, ელექტრონული მმართველობა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოში წარმოადგენს გამოწვევას, განსაკუთრებით თუ აღნიშნული შეიცავს ხელოვნური

ინტელექტის კომპონენტებს. მისი თქმით, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე მთავრ პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ არ არიან მიმართულების მკვლევარები და პროგრამის განხორციელების ნაწილში დაწესებულება მუდმივად ცდილობს უცხოელი კოლეგების ჩართვას, რათა მათ ნაშრომებს გაუწიონ თანახელმძღვანელობა. პროგრამის ხელმძღვანელის ხედვით, საქართველო უნდა გახდეს ხელოვნური ინტელექტისა და ციფრული მმართველობის განმახორციელებელი ქვეყანა. მან ასევე დაამატა, რომ აქვს სამეცნიერო კვლევების გამოცდილება სწორედ ამ მიმართულებით. მისი თქმით, მხოლოდ 5 დოქტორანტის მიღება იგეგმება და, პროგრამა, არაა კომერციული ამ მიმართულებით. მან აღნიშნა, რომ მოცემული პროგრამა გულისხმობს ციფრული მმართველობის სექტორებს შემდეგ დარგებში: ჯანდაცვა, განათლება, იუსტიცია და აგრარული. მისი თქმით, შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებული დეტალები არ ახსოვს, თუმცა, თავადაც იყო ჩართული ამ პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა აღნიშნა, რომ შრომის ბაზრის კვლევის ფარგლებში იკვეთება, რომ გამოკითხულია ოთხი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, თუმცა ამავდროულად, კვლევის ნაწილში მითითებულია ბიზნეს სექტორი. ამდენად, მისი თქმით, შრომის ბაზრის დოკუმენტში იკითხება, რომ კურსდამთავრებულები არა მხოლოდ საჯარო სექტორში, არამედ ბიზნეს სექტორშიც მოიაზრებიან და ასევე წარმოდგენილი არის რამდენიმე ბიზნეს კომპანია.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ის 4 ინსტიტუცია, რომელიც გამოკითხული იქნა შრომის ბაზრის კვლევის ფარგლებში, გულისხმობს სამინისტროებსა და სსიპ-ებს, რომლებიც ძირითადად ქვეყანაში პასუხისმგებელნი არიან მოცემულ მიმართულებაზე. რაც შეეხება კომპანიებს, სპეციალურად გაკეთდა გამოკითხვა, რადგან მხოლოდ ოთხი კომპანიაა, რომელიც საქართველოში ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიას იყენებდა. ლიტერატურასთან დაკავშირებით, მისი შეფასებით, დარგი მუდმივად განახლებას საჭიროებს, შესაბამისად ლიტერატურის მოძიება საკმაოდ რთულია. მისი თქმით, საჯარო მმართველობისა და ხელოვნური ინტელექტის კომბინირებული ლიტერატურა საკმაოდ რთულია, ვინაიდან დარგი ახლა ვითარდება. მან აღნიშნა, რომ პრიორიტეტულ კომპონენტებთან დაკავშირებით, პირველი ეს არის აგრარული სექტორი, შემდეგ ჯანდაცვის სექტორი, განათლების სექტორი და რა თქმა უნდა იუსტიციის სექტორი, რომელიც ასევე დაწესებულების პარტნიორია. მან აღნიშნა, რომ სადოქტორო პროგრამა არის საკამოდ სპეციფიკური, რისი გამოცდილებაც აქვს ძალიან ცოტა ქვეყანას. პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე აღნიშნა, რომ პროგრამას ძალიან უჭირს პუბლიკაციების ნაწილშიც.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ბერელიძემ, აღნიშნა, რომ ვიზიტის წინ მათ ექსპერტთა ჯგუფს განუმარტეს, რატომაა საჯარო მმართველობის კვალიფიკაცია შესაბამისობაში პროგრამის მიზნებთან და შედეგებთან. მან აღნიშნა, რომ ბიზნეს ადმინისტრირება იშვიათად გვხვდება სადოქტორო პროგრამაზე, ხოლო მენეჯმენტი, ვიწრო მიმართულებით, მართვაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამებია. მან აღნიშნა, რომ საჯარო მმართველობა თავისი არსით, ინტერდისციპლინური სფეროა, რადგან ესაა პოლიტიკისა და საჯარო მართვის სპეციალისტები, რომლებთაც უნდა ჰქონდეთ კვლევაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების უნარი. მისი თქმით, საჯარო მმართველობის დოქტორმა იცის სამართლებრივი აქტების ენა, პოლიტიკის მართვის სექტორები და ციფრული ტექნოლოგიები. ამდენად, მისი თქმით, მნიშვნელოვანია ადამიანებმა, რომლებიც პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებაში იღებენ მონაწილეობას, კარგად ესმოდეთ სამართლებრივი ბაზის მნიშვნელობა და პოლიტიკის სწორდ დაგეგმვა. რაც შეეხება დაშვების წინაპირობებს, პროგრამაზე შეიძლება ჩაირიცხონ პრაქტიკული გამოცდილების მქონე

ადამიანები, ემისიდან, სამინისტროდან, რომლებსაც აქვთ პოლიტიკის დაგეგმვისა და ციფრულ ტექნოლოგიებთან კავშირი. შესაბამისად, წინაპირობები მკაცრად იერარქიულად ვერ იქნება განსაზღვრული.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა აღნიშნა, რომ კლასიკური გაგებით, საჯარო მმართველობა მენეჯმენტია და როცა მკითხველი პროგრამას კითხულობს აუცილებელია ხვდებოდეს რა კვალიფიკაციაზე გადის პროგრამა. მნიშვნელოვანია პროგრამაში ნათლად ჩანდეს აქცენტები და განსაზღვრული იყოს კვლევის სფეროები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ბერელიძემ აღნიშნა, რომ საჯარო მმართველობა იმიტომაა იმ ჩარჩოში, რომ უნდა ჰქონდეს მართვისა და პოლიტიკის გადაწყვეტილების საშუალება. მან ასევე აღნიშნა, რომ შეუძლებელია განისაზღვროს კვლევისთვის კონკრეტულ დოქტორანტს რა დასჭირდება და მთლიან პროგრამაში აქცენტი სწორედ საჯარო მმართველობაზეა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თამარ გვინიაშვილმა, ისაუბრა აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ თვითშეფასების ანგარიშის დანართი N2 არის პროგრამის განმახორციელებელი პირები შესაბამისი სასწავლო კურსების მითითებით და დანართი N5-ში არის აღნიშნული პერსონალის ბიოგრაფიები. პროგრამაში ჩართულია სულ 13 აკადემიურ პერსონალი, საიდანაც მარტო ერთს აქვს მაგისტრი დიპლომი. მოცემული პირი ახორციელებს არჩევით სასწავლო კურსს, კერძოდ ,,ინგლისურ ენას C1”. მეორე განმახორციელებელი ამავე სასწავლო კურსის არის ინგლისური ლინგვისტიკის დოქტორი. ყველა დანარჩენი ვინც არის პროგრამაში ჩართული არიან, სამართლის დოქტორი, კომპიუტერულ მეცნიერებათა დოქტორი, განათლების დოქტორი, ფარმაციის დოქტორი, მედიცინის დოქტორი, ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორი, ფილოლოგის დოქტორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი და ინგლისური ლინგვისტიკის დოქტორი. ერთადერთი პირის ვისაც არ აქვს დოქტორის ხარისხი არის არჩევითი სასწავლო კურსის თანაგამახორციელებელი.დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ კურიკულუმში დეტალურად არის მითითებული კვლევის მიმართულებების, ესენია: ციფრული ეკონომიკა, განათლება, მეცნიერება, ჯანდაცვა, სოფლის მეურნეობა, იუსტიციის სისტემა და ციფრული დიპლომატია.

საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ აღნიშნა, რომ ჩამოთვლილ აკადემიურ პერსონალს შორის არ ვხვდებით საჯარო მმართველობის დოქტორს და ვინაიდან, პოლიტიკის შემუშავება საკმაოდ მნიშვნელოვანია, ის დაინტერესდა, როგორ უნდა ისწავლოს სტუდენტმა პოლიტიკის კეთება.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ზვიად გაბისონიამ, აღნიშნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანი იქნება შერჩევის სტადია. ჩვეულებრივი აიტი სპეციალისტი, რომელსაც არ აქვს შესაბამისი უნარები და არ ჰყოფნის წინარე კომპეტენცია, რა თქმა უნდა ვერ დააკმაყოფილებს მოცემულ პროგრამას. მისი თქმით, პროგრამაზე სულ 5 ადგილია, შესაბამისად, იდეა არის სი , რომ ყველა სეგმენტში უნდა აირჩეს თითო ყველაზე მაღალი კომპეტენციის მქონე სპეციალისტი.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა განმარტა, რომ საჯარო მმართველობაში არის ორი კვალიფიკაცია, საჯარო მმართველობისა და ფილოსოფიის დოქტორი და საჯარო მმართველობის დოქტორი. მისი თქმით, საჯარო მმართველობის დოქტორი, რომელიც ორიენტირებულია პრაქტიკულ კვლევებზე, ხშირად არეგულირებენ საერთაშორისო ასოციაციები ან ეროვნული ასოციაციები, რომლებიც ორიენტირებულები არიან საჯარო მმართველობისა და სახელმწიფო მმართველობის საქმეებში. მისი თქმით, ამ ლოგიკით, საჯარო პოლიტიკის შემუშავების მიმართულებით რომ მოინდომოს პირმა კვლევების განხორციელება, ან საჯარო საქმიანობის მიმართულებით, რამდენად უზრუნველყოფენ დოქტორის აკადემიური

ხარისხის მფლობელი პირები, რომლებიც ჩართულნი არიან პროგრამაში, ასეთ სპეციალიზირებულ კვლევებს საჯარო მმართველობის მიმართულებით.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ზვიად გაბისონიამ აღნიშნა, რომ ის იზიარებს საბჭოს წევრთა მოსაზრებას. მნიშნელოვანია შემოწმდეს, რა ცოდნა და გამოცდილება აქვს. აქედან გამომდინარე, შერჩევის დროს კრიტერიუმები მეტად თავისუფლად იქნა განსაზღვრული, რაც დაწესებულებას მისცემს ინფორმაციას თუ რა ტიპის გამოცდილება აქვს პირს და რა კუთხით აქვს განხორციელებული კვლევები.

დაწესებულების წარმომადგენელმა მეთოდებთან დაკავშირებით განმარტა, რომ დოქტორანტისთვის მარტივი არ უნდა იყოს რამე კომპონენტის დაძლევა, იქნება ეს სასწავლო კურსი, თუ კვლევითი კომპონენტი. მისი თქმით, თუ რთული იქნება, ამას თავად დაწესებულება განსაზღვრავს მიღების პროცესში და შესაბამისად ეგეთი დოქტორანტი არ იქნება მიღებული პროგრამაზე, რომელიც ერთ კვირაში ვერ დაუთმობს დროს იმ კურსებს, რომელიც დაწესებულების აზრით დაძლევადია.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ზვიადი გაბისონიამ აღნიშნა, რომ ტერმინებთან დაკავშირებით საკითხი არ ახსოვს, თუმცა გაიზიარებს საბჭოს წევრთა მოსაზრებას. რაც შეეხება დაძლევადობის საკითხს, ზოგადად კურსი საკმაოდ რთულია, შესაბამისად, გასაგებია, რომ ამ ნაწილში შესაძლებელია რაღაცა სილაბუსები იყოს გაცილებით რთულად დაძლევადი ან გაცილებით მარტივი, მაგრამ, გასათვალისწინებელია ის, რომ დაახლოებით რაოდენობას კანდიდატებისა დაწესებულება ელის შედარებით მეტს და შესაბამისად, დაწესებულება არჩევანს გააკეთებს მხოლოდ საუკეთესოებზე. პროგრამა ახალია და სატესტო რეჟიმში, შესაბამისად თავად დაწესებულება მიმართულია იმაზე, რომ ნახოს სად უჭირს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ენუქიძემ კვლევის მეთოდებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სილაბუსის მიხედვით, სტუდენტმა უნდა შეასრულოს 5 დავალება, თითოეული 10 ქულიანი. სასწავლო კურსი მოიცავს 30 სასწავლო და 120 დამოუკიდებელი საათს. მისი თქმით, დოქტორანტურის საფეხურზე დამოუკიდებელი საათები მეტად მნიშვნელოვანი და ნაყოფიერია. დაწესებულების წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ სადოქტორო პროგრამაზე კანდიდატების შერჩევის პროცესში ძალიან ფრთხილად იქნებიან. რისი მთავარი განმაპირობებელიც არის ის, პროგრამა არ არის კომერციულად საინტერესო დაწესებულებისთვის, პირიქით, დაწესებულებამ საკმაოდ დიდი ხრესურსი აქვს გამოყოფილი, რაც გულისხმობს მზარდი ბიუჯეტის 5%-ს + 10% სარეზერვო ფონდიდან. მისი თქმით, აღნიშნული ფინანსური თავისუფლება დაწესებულებას აძლევს გარანტიას, რომ იყოს მაქსიმალურად მომთხოვნი და მკაცრი. მან აღნიშნა, რომ სფეროების დაზუსტება აუცილებელია, ვინაიდან ციფრული მმართველობის და ხელოვნური ინტელექტის ეროვნული სტრატეგიული დოკუმენტი არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს სფეროების დაზუსტების გარეშე. ყველა ქვეყნისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის სფერო და ინდუსტრია განსხვავებულია, ამიტომაც დაწესებულებამ განსაზღვრა ის სფეროები, რომლებიც მიაჩნია კომუნიკაციისა და კვლევის შედეგად ყველაზე მნიშვნელოვანი. მისი თქმით, რაც შეეხება ,,სადისერტაციაო ნაშრომის დიზაინისა და მენეჯმენტის“ სასწავლო კურსს, მოცემული საგანი არჩევით ფორმატში ხორციელდება ბიზნეს ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამაზე, და, ამდენად, თემები, რომლებიც მოცემული სილაბუსით არის გათვალისწინებული, მათი სწავლების საჭიროება განსაზღვრულია იმით, რომ თუ ვინ არის კანდიდატი. მისი თქმით, მაგალითად, თუ პროგრამაზე აბარებს ადამიანი, რომელსაც პუბლიკაციების მიმართულებით აქვს გამოცდილება, მან იცინ ნაშრომის აკადემიური სტილი, მაშინ სავალდებულო წესით იგივე საკითხების სწავლება, დაწესებულებამ ჩათვალა, რომ საჭირო არ არის.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ, აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნებოდა, ჯანდაცვის მიმართულებით, ყოფილიყო პირი ჯანდაცვის მაღალი ადმინისტრირებიდან.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა დააზუსტა თუ რა კავშირი აქვს მენეჯმენტს ზემოაღნიშნულ სასწავლო კურსთან და რამდენად რელევანტურია მოცემული დავალებები სადოქტორო საფეხურისთვის.

დაწესებულების წარმომადგენლის, ნინო ენუქიძის თქმით, დავალებების რელევანტურობა ორჯერ იქნა შემოწმებული ექსპერტების მიერ. რაც შეეხება მენეჯმენტის საკითხებს, აღნიშნული სიტყვა იმ მიზნით გაჩნდა სასწავლო კურსის დასახელებაში, რომ კურსი მიმართულია ასწავლოს დოქტორანტს ეტაპობრივად ის საკითხები, რომლებიც ნაშრომის შექმნასთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, ამ კომპონენტების დაგეგმვა განხორციელება და წარმართვა იყო ის ერთ-ერთი მიზანი, რომელიც ჰქონდა აღნიშნულ კურსს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:10
დასრულების დრო: 18:45

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "ციფრული მმართველობისა და ხელოვნური ინტელექტის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციაზე უარის თქმის საკითხი.

პირველი სტანდარტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან“, საბჭომ 1.1 და 1.2 კომპონენტებში დაამატა რეკომენდაციები და ორივე მათგანი შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან“. მეორე სტანდარტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან“, საბჭომ 2.4 კომპონენტებში დაამატა რეკომენდაცია და 2.2 კომპონენტი შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან“, 2.4 კომპონენტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. მესამე სტანდარტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, კერძოდ საბჭომ 3.2 კომპონენტში დაამატა რეკომენდაცია და შეფასა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. მეოთხე სტანდარტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, კერძოდ 4.1 კომპონენტს დაემატა რეკომენდაცია და შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. მეხუთე სტანდარტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, კერძოდ 5.1 კომპონენტს დაემატა რეკომენდაცია და შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.ამდენად, აკრედიტაციის საბჭომ პირველი და მეორე სტანდარტი შეაფასა, როგორც „არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან“ , ხოლო, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტები შეაფასა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“

აკრედიტაციისსაბჭომრეკომენდაციები და რჩევებიჩამოაყალიბაშემდეგირედაქტირებით:

- რეკომენდირებულია, საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება მოვიდეს შესაბამისობაში საგანმანათლებლო პროგრამის მიზანთან;
- რეკომენდირებულია, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შესაბამისობაში მოვიდეს მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, რაც სწავლების სფეროების კლასიფიკატორის მიერაა განსაზღვრული;

- რეკომენდირებულია, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, რაც სწავლების სფეროების კლასიფიკატორის მიერაა განსაზღვრული;
- რეკომენდირებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების უფრო გამჭვირვალე წინაპირობების ჩამოყალიბება: შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის თემატიკისა და საკითხების განსაზღვრა; კანდიდატებისათვის შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; საჯარო პოლიტიკის ანალიზის საკითხების სატესტო საკითხებში დამატება; მისაღები პროცედურების სხვადასხვა ეტაპის მიხედვით ქულების მინიჭების, რეიტინგული სიების დადგენის გამჭვირვალე სისტემის შექმნა; მისაღები პროცესის სხვადასხვა ეტაპიდან გათავისუფლების შემთხვევაში შეფასების კრიტერიუმების დაზუსტება;
- რეკომენდირებულია, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან;
- რეკომენდირებულია, განისაზღვროს სამეცნიერო კვლევების პროექტისა და პროსპექტუსის დანიშნულება და შინაარსი, თუ ორივე ერთსა და იმავე კომპონენტს წარმოადგენს, დაზუსტდეს დასახელება და განესაზღვროს სავალდებულო სტატუსი. ასევე, განისაზღვროს სადოქტორო სემინარის შინაარსი და განსხვავდეს ის, როგორც სამეცნიერო კვლევის პროექტისა და პროსპექტუსისგან, ასევე, ზოგადად, სადისერტაციო ნაშრომის თემატიკისგან.
- რეკომენდირებულია, მიეთითოს ერთზე მეტი სავალდებულო ლიტერატურა ძირითად სასწავლო კურსებში მაგალითად, სასწავლო კურსში: „ხელოვნური ინტელექტი, როგორც მეცნიერება“;
- რეკომენდირებულია, სილაბუსები აიგოს არა მხოლოდ ძირითადი სახელმძღვანელოების მიხედვით, არამედ დარგში უახლესი სამეცნიერო მიღწევების ამსახველი სტატიებითაც („ხელოვნური ინტელექტი, როგორც მეცნიერება“; „სადისერტაციო ნაშრომის დიზაინი და მენეჯმენტი“).
- რეკომენდირებულია, კვლევითი კომპონენტის განხორციელებისას დოქტორანტს ხელმძღვანელობას უწევდეს კვალიფიციური პირი (დოქტორის აკადემიური ხარისხი და საჯარო მმართველობის სფეროში კვლევითი გამოცდილება ბოლო 5 წლის განმავლობაში)
- რეკომენდირებულია, დოქტორანტის ხელმღვანელი ან/და თანახელმძღვანელი ფლობდეს კვლევის სფეროს სამეცნიერო-კვლევით გამოცდილებას;
- რეკომენდირებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამაში საჯარო მმართველობის სფეროში კვლევითი გამოცდილების მქონე პერსონალის მოზიდვა;
- რეკომენდირებულია, ამოქმედდეს შიდა ხარისხის შეფასების ხარისხის შეფასების ეფექტიანი შექანიზმები.

რჩევები

ა) სასურველია, მისანიჭებელი კვალიფიკაცია ასახული იყოს პროგრამის დასახელებაშიც, მაგალუთად, შემდეგი სახით: „ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი საჯარო სექტორში“;

ბ) სასურველია, დაზუსტდეს მეორე მიზანი და ნაცვლად „საიმედო, გამჭვირვალე, სამართლიანი AI სისტემების შექმნა...“, ჩაიწეროს: „საიმედო, გამჭვირვალე, სამართლიანი AI სისტემების პოლიტიკის შექმა:“;

გ) სასურველია, პროგრამის შედეგების უკეთ გაზომვის მიზნით პროგრამის შედეგებში გამოყენებული იქნას მოქმედების გამომხატველი ზმნები არაუმეტეს ორი ზმნისა;

დ) სასურველია, პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის შესაფასებლად გამოყენებულ იქნას სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის რომელიმე ერთი კონკრეტული კომპონენტი,

რომელის უსდ-ს გაწერილი აქვს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წესში (დოქტორანტურის დებულების დანართი);
ე) სასურველია, პროგრამის დაშვების პროცესის გამჭვირვალობისა და სამართლიანობის უზრუნველსაყოფად, გაიწეროს ყველა წინაპირობა, თუ ასეთები მართლაც იქნება გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების დროს, მაგალითად, კანდიდატთა პრაქტიკული გამოცდილება/დასაქმება პროგრამის კვალიფიკაციის შესაბამის დარგებში;
ვ) სასურველია, მიეთითოს სავალდებულო კრედიტების მინიმალური რაოდენობა პროგრამის მთლიანი სასწავლო კომპონენტისათვის (როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი სასწავლო კურსების ჩათვლით)
ზ) სასურველია, დოქტორანტის სწავლების მეთოდებისა და პროფესორის ასისტირებიდან გათავისუფლების შემთხვევაში, უფრო ნათლად განიმარტოს ასეთ შემთხვევებში საჭირო კრედიტების მინიჭებისა და დოქტორანტის სწავლების უნარის შეფასების მექანიზმები;
თ) სასურველია, სადოქტორო სემინარი განისაზღვროს როგორც პროგრამის არა კვლევითი, არამედ სასწავლო კომპონენტი;
ი) სასურველია, სილაბუსებში გვერდების საერთო რაოდენობის მითითება ძირითად სახელმძღვანელოებში, რაც, შესაძლებელს გახდის სტუდენტის სასწავლო დატვირთვის/კრედიტების გაანგარიშების ადეკვატურ შეფასებას;
კ) სასურველია, დოკუმენტში „სადოქტორო ნაშრომის დაცვა“ დაზუსტდეს და განივრცოს ტრანსფერული უნარები და კომპეტენციები, რომელთა განვითარებაშიც სადოქტორო კვლევა ხელს უწყობს დოქტორანტს.
ლ) სასურველია, ფაკულტეტმა ყოველი სემესტრის დასაწყისში შეადგინოს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის განრიგი დეპარტამენტების მიხედვით და განათავსოს ფაკულტეტის ვებ-გვერდზე;
მ) სასურველია, სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობის მისანიჭებელი კვალიფიკაციის - საჯარო მმართველობის - მიმართულებით აფილირებული პერსონალით გაძლიერება;
ნ) სასურველია, დარგის სპეციალისტებთან, უცხოური/ადგილობრივი უსდ და დამსაქმებლებთან ერთად მისაღები გარე შეფასების წინასწარ განსაზღვრული ფორმის შექმნა საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური შეფასების მიზნით;

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე -16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 24-ე მუხლის, ასევე, აკრედიტაციის დებულების 272 მუხლის პირველი პუნქტის, 275-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, ამავე კანონის 276 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის „ციფრული მმართველობისა და ხელოვნური ინტელექტის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციაზე.

გადაწყვეტილების გამოცხადების შემდგომ, დაწესებულების წარმომადგენელმა ნინო ენუქიძემ აღნიშნა, რომ ვერაფერი ვერ გაიგო საბჭოს თავმჯდომარის საუბრის შემდეგ. მან აღნიშნა, რომ მისთვის გაუგებარია, თუ რომელი გარემოებების გამო ეთქვა მოცემულ პროგრამას უარი აკრედიტაციაზე, რადგან ექსპერტების მიერ გაკეთებულ დასკვნაში წერია, რომ სტანდარტების უმეტესობა სრულად შესაბამისობაშია.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანმა განმარტა, რომ ექპერტთა დასკვნაში პირველი, მე-3 და მე-5 სტანდარტი იყო შესაბამისობაში, მე-2 კი მეტწილი. თუმცა ასევე იყო რეკომენდაციები პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის კვალიფიკაციასთან შესაბამისობასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, მისი თქმით, აღსანიშნავია დამატებითი რეკომენდაციები, რომლებიც ეხება პერსონალს, კერძოდ მათ სადოქტორო კვალიფიკაციას და სამეცნიერო გამოცდილებას. მისი თქმით, ის ფაქტობრივი გარემოებები, რაც იქნა წარმოდგენილი არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ აღნიშნულ პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ენუქიძემ აღნიშნა, რომ მოცემული დასკვნა არის აბსოლუტურად სუბიექტური ყველა იმ პირის მხრიდან ვინც გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხმა მისცა. მან აღნიშნა, რომ პერსონალი, რომელიც ახორციელებს პროგრამას არის ძალიან მაღალი კვალიფიკაციის და შესაბამისად, საბჭოს მეტი პასუხისმგებლობა მოეთხოვება როდესაც ამგვარ განცხადებას აკეთებს. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს გადაწყვეტილება არის უდიდესი სირცხვილი და ყოველივე ეს დაუჯერებელია. მისი თქმით, დაწესებულება მოცემული გადაწყვეტილების გამოტანას ორი საათი ელოდებოდა, შესაბამისად საბჭო ვალდებულია მოუსმინოს დაწესებულების წარმომადგენლებს. მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ყველა სტანდარტი არის შესაბამისობაში, ამას მოწმობს არა მხოლოდ ის ჯგუფი, რომელიც ჩართული იყო პროგრამის განხორციელებაში, არამედ ის საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებმაც დეტალურად შეისწავლეს ეს პროგრამა, გაეროთი დაწყებული, ლეიდენის უნივერსიტეტით დამთავრებული, რომლებმაც არა მარტო მოიწონეს, არამედ მზაობა გამოთქვეს პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობაზე. შესაბამისად, იმის თქმა, რომ პერსონალი არ აკმაყოფილებს კვალიფიკაციას არის სუბიექტური აზრი. მისი თქმით, საბჭო ეწინააღმდეგება იმ ექსპერტების დასკვნებს, რომლებიც იყვნენ მოსული ვიზიტზე და პროგრამა საბოლოო ჯამში დადებითად შეაფასეს. მან ხელახლა აღნიშნა, რომ საბჭოზე გაჟღერებული გადაწყვეტილება არის დაუჯერებელი და დაამატა, რომ დაწესებულება გაარკვევს თუ რატომ არის მათ დაწესებულებაზე მსგავსი განწყობა ჩამოყალიბებული და დაწესებულება ყველა შემდგომი პროცედურით, ამას აუცილებლად დაადასტურებს, რაც, მისი თქმით, პროგრამას, ღირსეულ და სამართლიან დასკვნამდე მიიტანს. მან კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ საბჭოზე გაჟღერებული არის უდიდესი სირცხვილი და ხელახლა მიმართა საბჭოს წევრებს, თუ რომელი აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია არ მოეწონათ. მისი თქმით, აღნიშნული არის სირცხვილი, რადგან საბჭო ორი საათის განმავლობაში მსჯელობდა რომ ეს დასკვნა გამოეტანა და არა ის, რომ მაგალითად მოეწოდებინათ დაწესებულებისთვის დამატებითი ჩანაწერების გაკეთება ან დაენიშნათ მონიტორინგი. მისი თქმით, საბჭოს წევრებმა ეს საკითხიც კი არ განიხილეს. დაწესებულების წარმომადგენელი დაინტერესდა, რომ ეს არის საბჭოს წევრების მხრიდან აღიარება იმ ექსპერტების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ყველასი ვინც პროგრამაზე იმუშავა. მან აღნიშნა, რომ თუ მოცემული პროგრამ არ იმსახურებდა აკრედიტაციას, როგორ ხდება, რომ დანარჩენ 65 უნივერსიტეტში არსებული პროგრამები იმსახურებენ. მან ხელახლა აღნიშნა, რომ ყველაფერი გასაგებია და საბჭოს გადაწყვეტილება არის სირცხვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულება დეტალურ ინფორმაციას იხილავს საოქმო ჩანაწერში. გარდა ამისა ორი საათი დაიხარჯა იმ მიზეზით, რომ განხილვაში ჩართული იყო

თითოეული საბჭოს წევრი, შესაბამისად გადაწყვეტილება არ ერთპიროვნული და არც სუბიექტურია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება ცალსახად სუბიექტურია, რადგან, როცა ექსპერტები აკეთებენ დადებით დასკვნას და საბჭოს აკეთებს უარყოფით დასკვნას, ეს არის დაუჯერებელი და, რომ აღნიშნული მართლაც რომ სამარცხვინოა. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ ინსტიტუცია აუცილებლად გაარკვევს თუ რა განაპირობებს ასეთ განწყობას მათ მიმართ და ასევე გაარკვევს სადოქტორო პროგრამები, რომლებიც საბჭოს მიერ იღებს აკრედიტაციას რის და რომელი პერსონალის საფუძველზე იღებს აკრედიტაციას. მან აღნიშნა, რომ რომელი აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია მოეწონა საბჭოს სხვა უნივერსიტეტებში იმაზე მეტად, როდესაც პროგრამაზე ასწავლის ხათუნა ბურკაძე, რომელსაც MIT-ში აქვს მკვლევარობის გამოცდილება. მისი თქმით, იმის მაგივრად რომ საბჭო ხელს უწყობდეს და ეხმარებოდეს პროგრამას და უხაროდეს რომ დაშტამპული და ერთი და იგივე პროგრამები კი არ გადის აკრედიტაციაზე, არამედ ახალი და ინოვაციური და მართლა საერთაშორისოდ აღიარებული, საბჭოს ამას ბლოკავს და უშვებს მართლა ერთი და იგივეს, რომ წაიკითხოთ პროგრამა მართლაც განსხვავებულს ვერაფერს ნახავთ. ამდენად, მისი თქმით, ამის თქმა მართლაც უდიდესი სირცხვილია.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭო ინარჩუნებს საჯარო თმენის ვალდებულებას და მადლობა გადაუხადა დაწესებულების წარმომადგენლებს. გარდა ამისა აღნიშნა, რომ დეტალური ინფორმაცია და რეკომენდაციები დაწესებულებამ უნდა იხილოს საოქმო ჩანაწერში. გარდა ამისა, დაწესებულებას შეუძლია გამოიყენოს ყველა არსებული პროცედურა. საბჭომ გადაწვეტილება მიიღო ერთხმად და ორი საათი სწორედაც იმიტომ მიდიოდა მსჯელობა, რომ ყოველი პუნქტი და ყოველი დეტალი ყოფილიყო დეტალურად განხილული.

მეორე საკითხი: შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

სხდომას 19:10სთ-ზე შემოუერთდა საბჭოს წევრი, ნინო ჭალაგანიძე.

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი Law
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2020 წლის 28 სექტემბრის N904416 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სამართალი Law
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -7
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის დოქტორი PhD in Law
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11		სამართალი 0421

	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	არაუმეტეს 60 ECTS-ის კრედიტი (სასწავლო კომპონენტი)
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0179, ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N25
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერაკრედიტაციისსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება
√ არა
აკრედიტაციისსაბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

დაწესებულების წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს და მოითხოვა ნებართვა პროგრამასთან დაკავშრებული საბჭოს მიმდინარეობის დაწესებულების მხრიდან ჩაწერის განხორციელებაზე.

ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ცენტრი ჩანაწერს ახორციელებს მხოლოდ ოქმის მიზნებისათვის სხვა შემთხვევაში დაწესებულებას შეუძლია დააყენოს შუამდგომლობა, ხოლო გადაწყვეტილების მიღება უკვე საბჭოს პრეროგატივაა.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა თუ რა არის აღნიშნული შუამდგომლობის მოტივი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული გამომდინარეობს საკითხი მნიშვნელობიდან და სირთულიდან.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 19:15
დასრულების დრო: 19: 28

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტისთვის სხდომის მიმდინარეობის ჩაწერის უფლებამოსილების მიცემა.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე -0
წინააღმდეგი 16

საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულებას საბჭოს სხდომის მიმდინარეობა ჩაწერაზე დაწესებულებას ეთქვა უარი.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს, დაწესებულებასა და ექსპერტებს. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილია 30-ზე მეტი რეკომენდაცია და ჩამოთვალა გაცემული რეკომენდაციები:

1. სადოქტორო პროგრამის და შესაბამისი საუნივერსიტეტო მარეგულირებელი აქტების კორექტირება, სადაც მკაფიოდ გამოჩნდება რა სახით, მოცულობით ან შინაარსით/პირობებით უნდა ეზიაროს დოქტორანტი მულტიდისციპლინურ ან/და ინტერდისციპლინურ კომპონენტებს, და აღნიშნულ ნაწილში შესაბამისობაში მოიყვანოს მიზნებისა და შედეგების თავსებადობის რუკა.
2. მიზანშეწონილია დაწესებულებამ, პროგრამის სწავლის მე-9 შედეგის მიღწევისა და დოქტორანტის ობიექტური/ადეკვატური შეფასების მიზნით, ხელახლა განიხილოს და შეიტანოს შესაბამისი კორექტირებები პროგრამის შინაარსში, სწავლის შედეგებსა და მათი შედეგების შეფასებაში.
3. პროგრამის მე-3 დანართში (გვ.13) "სამიზნე ნიშნულებში" გათვალისწინებული იქნას შესაბამისი მონაცემები სავალდებულო სასწავლო კომპონენტების შესახებ და არ იყოს შემოფარგლული მხოლოდ სადისერტაციო ნაშრომით.
4. სწავლის შედეგების შეფასება უნდა წარმოებდეს თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, დარგის სპეციფიკისთვის დამახასიათებელი პერიოდულობი
5. რეკომენდებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობების სამართლიანობის უზრუნველყოფის მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამით ან პროგრამის დანართით (მიღების დოკუმენტით) პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და მიღების პროცედურების გარდა დეტალურად აღიწეროს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებზე აპლიკანტთა შეფასების სისტემაც (შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი რუბრიკები).
6. რეკომენდებულია სადოქტორო საფეხურზე დოქტორანტებს სასწავლო კურსის „აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები"-ს ნაცვლად სავალდებულო კომპონენტის სახით შეეთავაზოთ სამართლის დოქტორანტებისთვის რელევანტური სასწავლო კურსი „იურიდიული კვლევის მეთოდები" (იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ თემატიკაზე არაერთი სახელმძღვანელოა გამოცემული ინგლისურ ენაზე), რომლის ფარგლებშიც სტუდენტი შეიძენს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნას იურიდიული კვლევის ამოცანების, სახეების, ბუნების, მიზნის, იურიდიული კვლევის ძირითადი ეტაპების, დოქტრინული და არადოქტრინული იურიდიული კვლევის მიზნებისა და ძირითად ხერხების, იურიდიული კვლევის მოდელების, იურიდიული კვლევის თანამედროვე ტენდენციების, ჰიპოთეზის წყაროების, კვლევის დიზაინის სახეების და ა.შ. შესახებ;
7. რეკომენდებულია სასწავლო კურსი კურსის „აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები" სავალდებულო კომპონენტის სახით შეეთავაზოთ მხოლოდ იმ დოქტორანტებს, რომლებსაც აღნიშნული სასწავლო კურსი არა აქვთ გავლილი სამაგისტრო საფეხურზე;
8. რეკომენდებულია, კვლევითი უნარების სემინარების ფარგლებში დოქტორანტს მიეცეს შესაძლებლობა შეისწავლოს ეროვნული და უცხოური სამართლის, თანამედროვე

იურიდიული მეცნიერების უახლეს მიღწევები, რაც მას არსებული ცოდნის გაფართოების საშუალებას მისცემს. ამასთან, უნდა გამოირიცხოს კვლევითი უნარების სემინარების ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის რომელიმე ნაწილის, მათ შორის, სადისერტაციო ნაშრომის კვლევის პროექტის (პროსპექტუსის) შესრულება, ვინაიდან დისერტაცია ან სხვა სამეცნიერო ნაშრომი უნდა შეფასდეს მხოლოდ ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით)

9. რეკომენდებულია, სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტებიდან სასწავლო კურსი „სწავლების თანამედროვე მეთოდები“ გადატანილი იქნას სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტებში, რათა საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი სრულყოფილად ითვალისწინებდეს დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს.
10. რეკომენდებულია, კვლევითი სემინარების დაშვების წინაპირობას წარმოადგენდეს სასწავლო კურსი „აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები“, ხოლო პროფესორის ასისტენტობის დაშვების წინაპირობას - სასწავლო კურსი „სწავლების თანამედროვე მეთოდები“.
11. რეკომენდირებულია, პროგრამის სწავლის მე-9 სწავლის შედეგის მისაღწევად უსდ-მ გამოიყენოს სხვა რელევანტური სასწავლო კურსები/აქტივობები;
12. რეკომენდებულია, სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონეტში უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს ისეთ სასწავლო კურსებს/სხვა სასწავლო აქტივობებს, რომლებიც შეძენენ დოქტორანტს სამართლის სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნას, რაც საშუალებას მისცემს მას არა მხოლოდ გაიფართოვოს საკუთარი ცოდნის არეალი, არამედ შეძლოს კიდეც ინოვაციური მეთოდების გამოყენება, ასევე საკითხის სისტემური და კრიტიკული ანალიზი;
13. რეკომენდებულია, უსდ-მ გადახედოს და დააზუსტოს სასწავლო აქტივობის - პროფესორის ასისტენტობის კრედიტების რაოდენობა, კომპონენტის ფარგლებში დოქტორანტის მიერ შესასრულებელი დავალებების მოცულობის გათვალისწინებით;
14. რეკომენდებულია, სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებში ძირითადი აქცენტი გაკეთდეს სასწავლო მასალად მონოგრაფიების, სამეცნიერო სტატიების, ავთენტური წყაროებისა და არა გზამკვლევებისა და სახელმძღვანელოების გამოყენებაზე. ასეთი მიდგომით უზრუნველყოფილი იქნება, უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის, კვლევის პროცესში.
15. იმისთვის, რომ სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, სწავლის შედეგების შესაბამისად, უზრუნველყოფდეს სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარებას, რეკომენდებულია, პროფესორის ასისტენტება სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტებიდან გადატანილი იქნეს სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტებში;
16. იმისათვის, რომ პროფესორის ასისტენტობის პროცესი იყოს ცხადი და თანმიმდევრულად აღქმადია, როგორც დოქტორანტებისთვის, ასევე შესაბამისი სასწავლო აქტივობის განმახორციელებლისთვის, რეკომენდებულია პროფესორის ასისტენტობის სილაბუსი ან თანდართული დოკუმენტები ითვალისწინებდეს პროფესორის ასისტენტობის გეგმას, რაც გულისხმობს ყოველკვირეულად განსახორციელებელი აქტივობების მიზანს, შინაარსს, ასისტირებასთან დაკავშირებული დავალებების ინსტრუქციას და სხვ;
17. რეკომენდებულია, „სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში“ დეტალურად აისახოს დოქტორანტის ხელშემწყობი საუნივერსიტეტო მექანიზმები. ამასთან, მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებაში დოქტორანტის

ინტეგრაციის მიზნით, რეკომენდებულია დაკონკრეტდეს, რომ დოქტორანტმა სამეცნიერო პუბლიკაციები უნდა გამოაქვეყნოს რეფერირებად (Peer-reviewed) საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი) და რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის. ამვსთან, ამავე მიზნით დოქტორანტმა ერთი პუბლიკაცია მაინც უნდა გამოაქვეყნოს არა ზოგადად რეცენზირებად სამეცნიერო პერიოდიკაში, არამედ ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის, Web of Science-ის ან ERIH PLUS-ის ბაზებში.

18. რეკომენდებულია, უსდ-მ სასწავლო კურსებში დოქტორანტთა შესაფასებლად დახურული კითხვების, თეორიულ საკითხების, ტესტების და ზეპირი გამოკითხვების ნაცვლად უფრო ფართოდ გამოიყენოს შეფასების ისეთი მეთოდები, როგორიცაა ანალიტიკური რეფერატის, კვლევითი ნაშრომის/პროექტის, კვლევითი სტატიის მომზადება და მათი საჯარო პრეზენტაცია, კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით;
19. ვინაიდან ოპონენტი იღებს წინასწარ გადაწყვეტილებას დისერტაციის დაცვაზე დაშვების ან დისერტაციის დაცვაზე დაშვების უარის თქმის შესახებ, სადისერტაციო ნაშრომის ობიექტურად შეფასების მიზნით, რეკომენდებულია, სადისერტაციო კომისიაში და სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასებაში დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის მსგავსად ასევე არ მონაწილეობდნენ ოპონენტები;
20. რეკომენდებულია, უსდ-მ შეისწავლოს, როგორც ეროვნული, ასევე უცხოური პრაქტიკა და შეიმუშავოს გასაჩივრების სამართლიანი, ობიექტური და მიუკერძოებელი ისეთი მექანიზმი, რომელიც საშუალებას მისცემს დოქტორანტს გაასაჩივროს არა მხოლოდ სადისერტაციო კომისიის საბოლოო შეფასება, არამედ სადისერტაციო ნაშრომის დაცვის რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურული ნორმების დარღვევაც;
21. იმისათვის, რომ სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი კომისიის წინაშე ყოველსემესტრული ანგარიშის წარდგენის პროცედურია იყოს ცხადი, როგორც დოქტორანტისათვის, ასევე სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი კომისიის წევრებისათვის, რეკომენდებულია, სამართლის სკოლის „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში“ დეტალურად აღიწეროს როგორც სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი კომისიის ფორმირების წესი, ასევე დოქტორანტის ყოველსემესტრული ანგარიშისადმი წაყენებული მოთხოვნები (მოცულობა, შინაარსი და ა.შ.). სამართლის სკოლის „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით“ ასევე უნდა დაზუსტდეს განმავითარებელი შეფასების ფარგლებში დოქტორანტი მიიღებს თუ არა დარგობრივი კომისიისაგან შენიშვნებსა თუ რეკომენდაციებს და მათი გათვალისწინება სავალდებულო იქნება თუ არა დოქტორანტისთვის დისერტაციის წარდგენამდე;
22. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა უნდა იყოს საჯარო. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს საშუალება უნდა ჰქონდეს დაესწროს სადისერტაციო ნაშრომის დაცვას და ჩაერთოს მის ირგვლივ გამართულ დისკუსიაში. შესაბამისად, რეკომენდებულია, აღნიშნული ჩანაწერი აისახოს სამართლის სკოლის „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში“
23. დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის ხელშეწყობის ეფექტური სტრატეგია.
24. რეკომენდირებულია სამეცნიერო ხელმძღვანელი იყოს აკადემიური პერსონალი, თანახელმძღვანელის შემთხვევაში შესაძლებელია მოწვეული პერსონალის არჩევა. აღნიშნული დაეხმარება დოქტორანტს სამეცნიერო-კვლევითი აქტივობის განხორციელებასა და პროგრამის დასრულებაში, შესაბამისად, დებულებაში დასაზუსტებელია სამეცნიერო ხელმძღვანელის დანიშვნის წესი.

25. აფილირებული პერსონალთან დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები იყოს განსხვავებული ანაზღაურების პირობების შესაბამისად
26. უსდ-ს მიერ მოხდეს აკადემიური პერსონალის მიერ აფილირებული პერსონალის კვლევითი საქმიანობის მონიტორინგი და მხარდაჭერა
27. გაუმჯობესდეს აკადემიური პერსონალის წახალისება/მხარდაჭერა სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის პროცესში;
28. გაუმჯობესდეს უსდ-ს მიერ აკადემიური პერსონალის საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში ჩართულობის, სამეცნიერო, კვლევითი და პროფესიული განვითარების მიზნით სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობის მხარდაჭერა.
29. რეალისტურ მონაცემებზე, წყაროებზე დაფუძნებით პროგრამის მკაფიო ბიუჯეტის შედგენა;
30. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების, შეფასებისა და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურების შესახებ დამტკიცებული შიდა აქტით განსაზღვრული მექანიზმების დანერგვისა და გამოყენების პროცესების მომწესრიგებელი ნორმების შემუშავება და მათი განხორციელების პროცესების ჯეროვნად რეგულირება;
31. შიდა მარეგულირებელი აქტების, მათ შორის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა და საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების განხორციელების დებულების იმ ნორმების შესაბამისობაში მოყვანა მოქმედ კანონმდებლობასთან, სადაც დოქტორანტურის პროგრამების მოცულობა განსაზღვრულია 180 კრედიტით;
32. პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის ზუსტი მექანიზმების განსაზღვრა.
33. მიზანშეწონილია, დაწესებულებამ გარდა კანონმდებლობით დადგენილი გარე შეფასების მეთოდებისა, რომლებიც ისედაც სავალდებულო წინაპირობას წარმოადგენს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის, რეგულარულად უზრუნველყოს პროგრამის გარე შეფასება სხვადასხვა მთოდებით (დამსაქმებლების მიერ, განმავითარებელი კოლეგიალური, უცხოელი ექსპერტების ჩართულობით) და უზრუნველყოფს შეფასების შედეგების შემდგომი განხილვისა და საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნებისათვის გამოყენება. ხოლო შიდა შეფასებების განხორციელების პროცესები დეტალურად უნდა იყოს ფორმალურად გაწერილი, შესაბამისი პერიოდულობის, გამოსაყენებელი მეთოდის, პასუხისმგებელი პირებისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებით, შემდგომი რეაგირების ღონისძიებების მითითებით.
34. დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს მონიტორინგის ერთიანი სისტემის შექმნა, შესაბამისი მარეგულირებელი აქტის გაწერის საფუძველზე, სადაც გათვალისწინებული იქნება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელების პროცესი მონიტორინგის მიზნებისათვის, მათ შორის, ისეთი კომპონენტები, როგორიცაა სტუდენტების მიერ სასწავლო კომპონენტებისა dwiა ამ კომპონენტების განმახრიციელებელი პირების სხვადასხვა კრიტერიუმებით შეფასება ამ კურსების დასრულებისას, სწავლების პროცესის შემოწმება ლექციებზე დასწრების მეშვეობით, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პირებთან შეხვედრებისა და ხარისხის სამსახურის მიერ განხორციელებული კვლევებისა და შეფასებების განხილვის ვალდებულება და პერიოდულობა და სხვა. ამასთან, პროგრამაში დასაქმების ბაზრის მუდმივად ცვალებადი მოთხოვნების ასახვის მიზნით, აუცილებელია რეგულარულად ხორციელდებოდეს დამსაქმებელთა მიერ პროგრამის შედეგების ანალიზი და შეფასება.

საბჭოსთავმჯდომარემმიმართადაწესებულებისწარმომადგენლებსდაეფიქსირებინათსაკუთარი პოზიცია:

დაწესებულების წარმომადგენელმა, პოლიკარპე მონიავამ აღნიშნა, რომ მათ წარმოადგინეს არგუმენტირებული პოზიცია, სადაც, დეტალურადაა ყველა მნიშვნელოვანი საკითხი პასუხგაცემული. მისი ხედვით, ექსპერტთა დასკვნა ეხება არა მხოლოდ დაწესებულებას, არამედ მისი და მისი კოლეგების კომპეტენციასა და კვალიფიკაციას. მისი ხედვით, სამ ათეულზე მეტი რეკომენდაცია, კარგს არაფერს მოწმობს. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა დაწესებულების წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და მოიყვანა ციტატა ექსპერტთა დასკვნიდან, კერძოდ: ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების 2021 წლის 23 ივნისის №01-03/51 წერილით წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას, განხილული იქნა კოლეგიალურად, თუმცა არცერთი მისი ნაწილი არ იქნა ცნობილი სათანადოდ დასაბუთებულად, შესაბამისად არ იქნა გაზიარებული. საბოლოო დასკვნაში ექსპერტთა ჯგუფის ინიციატივით შეტანილი იქნა მცირე კორექტირებები, რომელსაც არ გამოუწვევია სტანდარტის, მისი კომპონენტის ან რეკომენდაცია/რჩევების ნაწილში არსებითი ცვლილება. აქედან გამომდინარე, სპროგრამის ხელმძღვანელი დაინტერესდა თუ რა ცვლილებეი იქნა შეტანილი საბოლოო დასკვნაში, რა კრიტერიუმების საფუძველზე შეფასდა ისინი მცირე მნიშვნელობის მქონედ და რატომ არ გაითვალისიწინა ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების არგუმეტირებული პოზოცია.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგენიძე- ჯიშკარიანმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მოსაზრებების გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

საბოლოო დასკვნიდან აღმოჩნდა, რომ შეიცვალა რეკომენდაციების რაოდენობა, კერძოდ დასკვნის პროექტში სხვადსხვა ადგილას დაემეტა 35, 36 და 37 რეკომენდაცია, მაშინ როცა თავდაპირველად იყო მხოლოდ 33. ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო დასკვნა თავადვე ადასტურებს, რომ მომზადებულ დასკვნის პროექტზე, სდას-უს პოზიცია იყო არგუმენტირებული და სათანადოდ დააბუთებული.

პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე აღნიშნა, რომ თუ, მაგალითად, ,,აკადემური წერის კვლევის მეთოდის“ ნაცვლად განისაზღვრება ექსპერტთა მიერ შემოთავაზებული ,,იურიდიული კვლევის მეთოდები“. პროფესორის ასისტენტობა გადატანილი იქნება სავალდებულო საგანთა კატეგორიაში. გარდა ამისა, სილაბუსშ მითითებული იქნება ექსპერტთა მიერ განსაზღვრული მეთოდები. დაწესებულება ასევე მოახდეს სადოქტორო პროგრამისა და სხვა შესაბამისი საუნივერსიტეტო მარეგულირებელი აქტები კორექტირებას, რის შედეგადაც მკაფიო გამოჩნდება რა სახით, მოცულობითა და შინაარსით უნდა ეზიაროს დოქტორანტი დისციპლინურ კომპონენტს. დაწესებულების წარმომადგენელმა დააზუსტა აღნიშNულის განხორცილების შემთხვევაშ შეიცვლება თუ არა სტანდარტების შეფასება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მსგავსი რეკომენდაციები ნათლად ზღუდავს დაწესებულების ავტონომიურობას.

დაწესებულება მიიჩნევს, რომ პირველი რეკომენდაციის შინაარსი ბუნდოვანია, კერძოდ შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რას ითხოვს მისი ავტორი, კერძოდ არ ჩანს უნივერსიტეტის რომელ მარეგულირებელ დოკუმნეტებზეა საუბარი და რა სახის ცვლილებებია მოთხოვნილი. რეკომენდაციის გაზიარების შემთხვევაშ უნდა შეიქმნას რამოდენიმე ასეულ გვერდიანი დოკუმენტი. ყოველივე ამით, ექსპერტთა ჯგუფი ახდენს არა მხოლოდ დაწესებულების მიერ წარდგენილი სადოქტორო პროგრამის დოკუმენტაციის იმ ნაწილის შეფასებას რომელიც პროგრამის მიზნებს, დაწესებულების მისიას და მასთან პროგრამის შესაბამისობას მოიცავს, არამედ ერთობლივად სამართლის პროგრამის შინაარსისა და მისი პრაქტიკული

განხორციელების ურთიერთშეჯერებას. ამის აუცილებლობა კი არ არსებობს და სამართლებრივად გაუმართლებელია, რადგან თუ რა მოცულობით უნდა ეზიაროს დოქტორანტი მულტიდისციპლინურ და ინტერდისციპლინურ კომპონენტებს დაწესებულების მიერ გაწერილია ,,კვლევითი უნარების სემინარს 2"-ში. თუ რა დოზით უნდა ეზიაროს დოქტორანტი მულტიდისციპლინურ და ინტერდისციპლინურ კომპონენტებს ეს თავად დოქტორანტის გადასაწყვეტია ხელმძღვანელთან შეთანხმებით. აღნიშნულ პროცესში ჩარევა კი გაუმართლებელია, მოცემულს ასევე მოწმობს 2020 წლის სასამართლოს გადაწყვეტილება.

პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე აღნიშნა, რომ როდესაც საუბარია ცალკეულ რეკომენდაციებზე, რომლებიც არა ერთხელ მეორდება დასკვნაში ეწინააღმდეგება ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში (გვ 32-34) თავიდან არსებულ რეკომენდაციას. რეკომენდაციაში საუბარი იყო, რომ სამართლის სადოქტორო პროგრამის სასწავლო კურსებში, ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს სამეცნიერო სტატიების, გზამკვლევებისა და სახელმძღვანელოების გამოყენებაზე. სახელმძღვანელოებისადმი ამგვარი დამოკიდებულება დაწესებულებამ გააპროტესტა. შემდგომ კი დასკვნაში მოხდა რეკომენდაციის ცვლილება. თუმცა რეკომენდაციის შინაარსი თოთქმის არ შეცვლილა.

პროგრამის ხელმძღვანელმა პოლიკარპე მონიავამ რჩევებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დასკვნაში მოცემულია რჩევები, თუმცა სინამდვილეში წარმოადგენს იმპერატიულ მოთხოვნას, კერძოდ აღსანიშნავია მე-7 რჩევა. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნიდან გამომდინარე ხდება დაწესებულების ავტონომიურობის შეზღუდვა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი გოგიაშვილმა აღნიშნა, რომ 2.4 ქვესტანდარტი შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაში მოთხოვნებთან, რასაც დაწესებულება არ ეთანხმება იმ საფუძვლებიდან გამომდინარე რა საფუძვლებიც დაწესებულებას აქვს მითითებული. პროფესორის ასისტენტობა მართალია დაწესებულებას განსაზღვრული აქვს არჩევით სასწავლო კურსად, თუმცა აღნიშნული გამოიწვია ბაზრს კვლევის ძირითადმა საფუძვლებმა, რომ დაწესებულებას მეტი მკვლევარი მოემზადებინა ბაზარზე, ვიდრე ლექციის წაკითხვაზე გაკეთებულიყო აქცენტი. შესაბამისად, კომპონენტი არ უნდა განსაზღვრულიყო როგორც ნაწილობრივ შესაბამისი მოთხოვნებთან.
ასევე, ის რომ სამეცნიერო ხელმძღვანელი უნდა იყოს დოქტორის სამეცნიერო სტატუსი მქონე პირი, აღნიშნულიც დაცულია უნივერსიტეტის ფარგლებში. იქიდან გამომდინარე, ლექციასაც კი არ კითხულობს მოცემული სტატუსის არ მქონე პირი.

საბჭოსთავმჯდომარემმიმართასაბჭოსწევრებსწარმოედგინათმოსაზრებები:

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, აღნიშნა, რომ ადასტურებს პატივისცემას ექსპერტთა ჯგუფისა და დაწესებულების მიმართ. მან ასევე დაამატა, რომ შრომის ბაზრის კვლევა კარგადაა ფორმულირებული, ასევე აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა, რომ პროგრამული ბიუჯეტი ყოფილიყო წარმოდგენილი. ის დაინტერესდა რა ვადაშია შესაძლებელი ექსპერტთა დასკვნის პროექტში მოყვანილი რეკომენდაციების შესრულება და მიმართა დაწესებულებას ითვალისწინებდნენ თუ არა რომელიმე რეკომენდაციას.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა, აღნიშნა, რომ შინაარსობრივი ნაწილები მისთვის უფრო მეტადაა საინტერესო. მან დაწესებულებას ჰკითხა ჰქონდათ თუ არა თანმხვედრი პოზიცია ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენლებთან; ასევე, ის დაინტერესდა, რომელ სამეცნიერო ბაზებთან წვდომა აქვს დაწესებულებას სამართლის ფაკულტეტის მიმართულებით. მან ასევე იკითხა რა მხარდაჭერის აქტივობები არსებობს დოქტორანტებისთვის და პროფესორებისთვის.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, გამოხატა პატივისცემა დაწესებულებისა და ექსპერტთა ჯგუფის მიმართ. ის დაინტერესდა რა აჩვენა ბაზრის კვლევამ სამართლის რომელი დარგებია უფრო აქტუალური და მოთხოვნადი კვლევითი მიმართულებით. მისი თქმით, პროგრამაში ტრანსფერული უნარების განმავითარებელი სასწავლო კურსებია წარმოდგენილი, მან იკითხა რა ხდება დარგობრივი მიმართულებით, მან ასევე თქვა, რომ მართალია კვალიფიციური პირები არიან ჩართულები, თუმცა, საინტერესოა, ვინ უხელმძღვანელებს სამართლის ან კერძო მიმართულებებს, რადგან, მისი თქმით, საინტერესოა სწავლის შედეგებში კონკრეტული დარგობრივი მიმართულების აღნიშვნა, რა რესურსით ახორციელებს ამას დაწესებულება.

ანზორ ბერიძემ იკითხა, რამდენად დიდი და მოცულობითი პრობლემაა ლიტერატურის საკითხი 2.3 ქვესტანდარტთან დაკავშირებით, მან ასევე იკითხა, რა პრაქტიკაა დღემდე დისერტაციის დაცვის წინაპირობასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, საბჭოს წევრი დაინტეერსდა, 2.6 ქვესტანდარტთან დაკავშირებით, შეფასების მიმართ, რა მოცულობის პრობლემებსა და დარღვევაზეა საუბარი.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავა დაინტერესდა, აღნიშნა პირველი რეკომენდაცია და მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს საკითხის განმარტებისკენ.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგიძე-ჯიშკარიანმა იკითხა, 4.1 ქვესტანდარტთან დაკავშირებით, რამდენად შესაბამისია ანაზღაურების საკითხის რეკომენდაცია და ხომ არ არის ის დაწესებულების პრეროგატივა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლევან ჯაყელმა აღნიშნა, რომ ექსპერტებმა დაწესებულებას წარუდგინეს დასკვნის პროექტი, შესაბამისად სავსევბიტ შესაძლძლებელი იყო ექსპერტებსი მიერ ნუმერაციის ცვლილებებისა და გარკვეული სხვა ცვლილებების განხორციელება. აღსანიშნავია ასევე, რომ პროგრამის მე-2 მიზანი არის შემდეგი: მულტიდისციპლინური ან/და ინტერდისციპლინურ მიდგომებზე დამყარებული ახალი მიდგომების შექმნა. მე-2 მიზანს რუკის მიხედვით აკმაყოფილებს, პირველი, მე-3 და მე-6 შედეგი და ის შედეგი, რომელიც დაწესებულებამ მიზანს უნდა შეუსაბამოს, გადატანილია მე-3 მიზანთან თანხვედრაში. მოცემული ფორმალურ დონეზე თავისთავად წარმოადგენს აცდენას. არც პროგრამაში და არც სხვა დოკუმენტაციაში არ არის მოცემული თუ როგრო აღწევს დაწესებულება ინტერდისციპლინურ კომპონენტს, ამასთან კომპონენტი საერთოდ არ არის მოცემული. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას რეკომენდაციების შესასრულებლად მნიშვნელოვანია განესაზღვროს 1-2 წლი.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ზვიად როგავამ, აღნიშნა, რომ ყველა შედეგი, რომელიც არის გაწერილი პროგრამაში, არ არის რეალისტური და შეფასებადი, კერძოდ აღსანიშნავია მე-9 შედეგი, რაც არარეალისტურია, რადგან შეუძლებელია მისი შეფასება სადისერტაციო ნაშრომით. ერთადერთი გამოსავალი არის პროფესორი ასისტენტობა თუ ის გადატანილი იქნება სავალდებულო კომპონენტში. აღსანიშნავია ასევე, რომ არც ერთ შემთხვევაში, სასწავლო კომპონენტი არ უნდა იყოს სადისერტაციო თემის ნაწილი, რადგან დისერტაცია ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით. კვლევითი სემინარის სილაბუსში პირდაპირ არის მოცემული, რომ აღნიშნული წარმოადგენს პროსპექტუსს. ეს კი წინააღმდეგობაში მოდის სადისერტაციო საბჭოს დებულებასთან. შესაბამისად, გამოდის რომ დისერტაცია არ ფასდება ერთჯერადად და დაყოფილია ნაწილებად.
რაც შეეხება შეფასების მეთოდებს, აღნიშნული აბსოლუტურად იდენტურია საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების. დოქტორანტურის ეტაპზე თუ გაეცნო დაწესებულება აკრედიტაციის სახელმძღვანელოს, აუცილებელია, რომ შეფასების მეთოდები იყოს გაცილებით

მაღალი სტანდარტის. გამოყენებული უნდა იყსო არა ტესტი და ღია/დახურული კითხვები, არამედ ანალიტიკური ნაშრომების და სტატიები.
ბაზებთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ავქ სწვდომა ბაზებთან, შესაბამისად საკითზე არ მომხდარა ყურადღების გამახვილება, თუმცა როდესაც დაწესებულებას აქვს პრეტენზია ჰქონდეს სამართლის სადოქტორო პროგრამა, მინიმუმ Lexis Nexsis უნდა ჰქონდეს.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა ასევე ისაუბრა ანაზღაურებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ საუბარია შრომის კანონმდებლობის დაცვაზე, კერძოდ აღსანიშნავია რომ ერთი და იგივე სამუშაოსთვის არ შეიძლება განსხვავებული ხელფასის მიცემა, ასევე სხვადასხვა ვალებულებებისთვის ერთი და იმავე ანაზღაურების განსაზღვრა. შესაბამისად, რეკომენდაცია სწორედ ასეთ დიფერენცირებას ეხებოდა.

საბჭოს წევრმა ანა ფირცხალაშვილმა დააზუსტა, თუ რამდენად შეესაბამება საკითხი აკრედიტაციის სტანდარტებს.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოცემული შესაძლოა არ იყოს აკრედიტაციის საკითხი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თამარ ტუფინაშვილმა, ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ არსებობს კვლევითი უნარების დანაკლისი, ასევ აღინიშნება პრობელმები აქტუალური საკითხის განსაზღვრისა და ჰიპოტეზის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით. რაც შეეხება პროფესორის ასისტირების საკითხს, ბაზრის კვლევამ აჩვენა ის , რომ პედაგოგიური უნარები პიროვნულ თვისებებზეა დამოკიდებული. რეალურად ბაზრის კვლევიდან გამომდინარე, დარგის სპეციალისტების აზრის გათვალისწინებით შემუშავდა ასეთი სტრუქტურა.
თამარ ტუფინაშვილმა ასევე აღნიშნა, რო დაწესებულება კატეგორიულად არ ეთანხმება სხვადასხვა ანაზღაურებასთან დაკავშირებით არსებულ რეკომენდაციას. გარდა ამისა, 25-ე, 26-ე და 27-ე რკომენდაციები თითქმის იდენტურია და იმეორებს ერთმანეთის შინაარსს.
რაც შეეხება შედეგების შეფასებას, ყველაზე რთულკად შესაფასებელი შედეგი არის დამოუკიდებლობა და ავტონომიურობა. ეს არის ის საკითხები, რაც სტუდენტს მუშაობის დროს უნდა გამოუვლინდეს. აკრედიტაციის სახელმძღვანელოს მიხედვით, სავსებით შესაძლებელია სადოქტორო ნაშრომით შეფასება, რადგან სადოქტორო საფეხური მიზანია, დამოუკიდებელი კვლევის შექმნა, მისი პროდუქტი კი სადისერტაციო ნაშრომია. სწორედ მისი საშუალებით არის კომპეტენციების შეფასება შესაძლებელი.
დაწესებულების წარმომადგეენლმა ასევე აღნიშნა, რომ მოცემული რეკომენდაციების გათვალისწინებას არ სჭირდება 1-2 წელი. ინსტიტუციის პერსონალის პირობებში, რეკომენდაციები შესრულებული იქნება 6 თვის ვადაში. დაწესებულება ცალსახად ეთანხმება რეკომენდაციას იურიდიული კვლევის მეთოდების სავალდებულო სასწავლო კურსად განსაზღვრის შესახებ. გარკვეული რეკომენდაციები მეორდება კიდევაც. ინსტიტუცია ასევე ეთანხმება ასისტენობასთან დაკავშირებულ რეკომენდაციასაც.

საბჭოს წევრმა ანა ფირცხალაშვილმა, მოუწოდა დაწესებულებს წარმომადგენლებს განმერტათ თუ რომელ ბაზებთან აქვს ინსტუტუციას წვდომა და ასევე მოითხოვა ექსპერტებისგან აღნიშნულის დადასტურება. გარდა ამისა, ბიუჯეტში წერია, კველვის ბიუჯეტი არის 16 000 ლარი, შესაბამისად საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ როგორ ახრეხებს დაწესებულება მოცემული რესურსის ფარგლებში მხარი დაუჭიროს დოქტორანტებსა და აკადემიურ პერსონალს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თამარ ტუფინაშვილმა აღნიშნა, რომ ინსტიტუციას აქვს, ელსევიერი, კემბრიჯის ჟურნალები, ეფსკო და ჰაინონლაინი, რაც ასევე ასახული პროგრამაში და მოცემულია ექსპერტთა დასკვნაშიც. რაც შეეხება მხარდაჭერას, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლებს აქვთ ცალ-ცალკე ბიუჯეტი, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია თანხმების გადათამაშება საუნივერსიტეტო ბიუჯეტიდან. დღეის მდგომარეობით დაწესებულებას არ ჰყავს დოქტორანტები, თუმცა მათი აყვანის შემთხვევაშ აუცილებლად იქნება განსაზღვრული შესაბამისი ფინანსური რესურსი. პროგრამით ასევე განსაზღვრულია პროფესორებისთვის აკადემიური მხარდაჭერა, კერძოდ როგორც სამეცნიერო კონფერენციებში დაფინანსება, კვლევის გამოცემის მხარდაჭერა, იგივე მივლინება. დაწესებულება ასვე მუშაობს საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის გაუმჯობესების მიზნით.

საბჭოს წევმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, დააზუსტა, რომ მე-9 სწავლის შედეგი ჩამოყალიბებულია იმ მიზნით, რომ პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის სწავლის შედეგი უნდა ყოფილიყო, თუ სადოქტორო პროგრამაში იყო ამ შედეგი განსაზღვრის საჭიროება. გარდა ამისა, საბჭოს წევრამ დააზუსტა თუ სამართლის რა მიმართულებით არის განსაზღვრული პროგრამა.

თამარ ტუფინაშვილმა განმარტა, რომ მე-9 შედეგი გამომდინარებს საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნიდან და ამას უნდა ანვითარებდეს სადოქტორო პროგრამა, რაც გამოიხატება კვლევს კეთლსინდისიერების დაცვით, კვლევაზე პასუხისმგებლობის აღებით და ა.შ. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულება პასუხისმგებელია როგორც დოქტორანტის შედეგის მიღწევაზე, ასევე კვლევის ხარისხზეც. შესაბამისად, დაწესებულება იღებს დოქტორანტებს, რომელიც წარმოადგენს თავის კონცეფციას, რასაც შემდეგ განიხილავს დარგობრივი და სადისერტაციო საბჭო. თუ ეს კონცეფცია დაწესებულებაში არსებულ მიმართულებას მოიცავს, მაშინ დოქტორანტს მიეცემა ინსტიტუციაში სადოქტორო საფეხურზე სწავლის შესაძლებლობა.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ნინო ლიპარტიამ, აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებშ გამოიკვეთა, რომ დაწესებულების მხარდაჭერა გულისხმობს არსებული სახელმძღვანელობის ბეჭდვას. თუმ ცა სხვა სახის მხარდაჭერა დაწესებულების მხრიდან არ იქნა გამოკვეთილი ექსპერტთა ჯგუფის მიერ თავად დაწესებულებასთან გასაუბრებისა და ვიზიტების ფარგლებში. დაწესებულებამ თავად აღნიშნა, რომ ინტენაციონალიზაცია და მხარდაჭერის ღონისძიებები საჭიროებენ გაუმჯობესებას.
გარდა ამისა აღსანიშნავია ბიუჯეტის საკითხი, კერძოდ საგანმანათლებლო პროგრამას არ აქვს ბიუჯეტი. ის 16 000 ლარი რაც ახსენეს საბჭოს წევრბემა არის ზოგადად სკოლის ბიუჯეტი. მისაღები შემოსავალი რაც დაფიქსირებულია ბიუჯეტში, არის ის სავარაუდო ბიუჯეტი, რასაც მომავალ წელს ფიქრობს მთლიანად სკოლა რომ მიიღებს სტუდენტების მიღების შემდგომ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თამარ ტუფინაშვილმა განმარტა, რომ აუცილებლობის შემთხვევაში ცენტრალური ბიუჯეტიდან მოხდება თანხის გამოყოფა, რომელიც მოხმარდება თითოეულ პროგრამას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 20:40
დასრულების დრო: 21:00

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის "სამართლის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის

აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 1 წელიწადში ანგარიშის წარმოდგენისა და 1 წელიწადსა და 6 თვეში მონიტორინგის განხორციელების პირობით,

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული შეფასებები. კერძოდ, კერძოდ, მეორე სტანდარტი, ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, 2.1 კომპონენტში არსებული რეკომენდაცია გადატანილ იქნა რჩევად და შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, 2.3, 2.4, 2.6 კომპონენტებიდან რეკომენდაციების ნაწილი გადატანილ იქნა რჩევებად და კომპონენტები შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. მესამე სტანდარტი, ნადვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, 3.1 კომპონენტში არსებული რეკომენდაცია გადატანილ იქნა რჩევად და შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. მეოთხე სტანდარტი, ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, 4.1 კომპონენტში არსებული რეკომენდაციები გადატანილ იქნა რჩევებად და შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; 4.2 და 4.4 კომპონენტებში არსებული რეკომენდაციების ნაწილი გადატანილ იქნა რჩევებად და კომპონენტები შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. 5.1 კომპონენტში არსებული რეკომენდაცია შეიცვალა და კომპონენტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, 5.2 კომპონენტიდან ამოღებულ იქნა რეკომენდაცია და შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

აკრედიტაციის საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა შემდეგი **რეკომენდაციები:**

- რეკომენდირებულია, დაწესებულებამ შესაბამისობაში მოიყვანოს მიზნებისა და სწავლის შედეგების თავსებადობის რუკა ინტერდისციპლინური და მულტიდისციპლინური კომპონენტების მიღწევის ნაწილში;
- მიზანშეწონილია დაწესებულებამ, პროგრამის სწავლის 1-ლი. მე-8 და მე-9 შედეგის მიღწევისა და დოქტორანტის ობიექტური/ადეკვატური შეფასების მიზნით, ხელახლა განიხილოს და შეიტანოს შესაბამისი კორექტირებები პროგრამის შინაარსში, სწავლის შედეგებსა და მათი შედეგების შეფასებაში;
- პროგრამის მე-3 დანართში (გვ.13) „სამიზნე ნიშნულებში“ გათვალისწინებული იქნას შესაბამისი მონაცემები სავალდებულო სასწავლო კომპონენტების შესახებ და არ იყოს შემოფარგლული მხოლოდ სადისერტაციო ნაშრომით.
- რეკომენდებულია, სადოქტორო საფეხურზე დოქტორანტებს სასწავლო კურსის „აკადემიური წერა და კვლევის მეთოდების“ ნაცვლად, სავალდებულო კომპონენტის სახით შეეთავაზოთ სამართლის დოქტორანტებისთვის რელევანტური სასწავლო კურსი „იურიდიული კვლევის მეთოდები“ (იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ თემატიკაზე არაერთი სახელმძღვანელოა გამოცემული ინგლისურ ენაზე), რომლის ფარგლებშიც სტუდენტი შეიძენს უახლეს მიღწევებზე დამყარებულ ცოდნას იურიდიული კვლევის ამოცანების, სახეების, ბუნების, მიზნის, ძირითადი ეტაპების, დოქტრინული და არადოქტრონული იურიდიული კვლევის მიზნისა და ძირითადი ხერხების, კვლევის მოდელების, თანამედროვე ტენდენციების, ჰიპოთეზის წყაროების, დიზაინის სახეების და ა.შ შესახებ;
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „ააკადემიური წერა და კვლევის მეთოდები“ სავალდებულო კომპონენტის სახით შეეთავაზოთ მხოლოდ იმ დოქტორანტებს, რომლებსაც აღნიშნული სასწავლო კურსი არ აქვთ გავლილი სამაგისტრო საფეხურზე;
- რეკომენდებულია, კვლევითი უნარების სემინარების ფარგლებში დოქტორანტს მიეცეს შესაძლებლობა შეისწავლოს ეროვნული და უცხოური სამართლის, თანამედროვე

იურიდიული მეცნიერების უახლესი მიღწევები, რაც მას არსებული ცოდნის გაფართოების საშუალებას მისცემს. ამასთან, უნდა გამოირიცხოს კვლევითი უნარების სემინარების ფარგლებში პროგრამის კვლევითი კომპონენტის რომელიმე ნაწილის, მათ შორის სადისერტაციო ნაშრომის კვლევითი პროექტის (პროსპექტუსის) შესრულება, ვინაიდან დისერტაცია ან სხვა სამეცნიერო ნაშრომი უნდა შეფასდეს მხოლოდ ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით);

- რეკომენდებულია, სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტებიდან სასწავლო კურსი „სწავლების თანამედროვე მეთოდები“ გადატანილ იქნას პროგრამის სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტებში, რათა, პროგრამის შინაარსი სრულყოფილად ითვალისწინებდეს დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს;
- რეკომენდებულია, კვლევითი სემინარების დაშვების წინაპირობას წარმოადგენდეს სასწავლო კურსი „აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები“, ხოლო პროფესორის ასისტენტობის დაშვების წინაპირობას - სასწავლო კურსი „სწავლების თანამედროვე მეთოდები“;
- რეკომენდებულია, უსდ-მ გადახედოს და დააზუსტოს სასწავლო აქტივობის - პროფესორის ასისტენტობის კრედიტების რაოდენობა, კომპონენტის ფარგლებში დოქტორანტის მიერ შესრულებული დავალებების მოცულობის გათვალისწინებით;
- რეკომენდებულია, სამართლის სადოქტორო პროგრამის სასწავლო კურსებში ძირითადი აქცენტი გაკეთდეს სასწავლო მასალად მონოგრაფიების, სამეცნიერო სტატიების, ავთენტური წყაროებისა და არა გზამკვლევებისა და სახელმძღვანელოების გამოყენებაზე. ასეთი მიდგომით უზრუნველყოფილი იქნება, უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის, კვლევის პროცესში;
- რეკომენდირებულია, დოქტორანტმა ერთი პუბლიკაცია მაინც უნდა გამოაქვეყნოს არა ზოგადად რეცენზირებად სამეცნიერო პერიოდიკაში, არამედ ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus ან Web of Science-ის ბაზებში;
- რეკომენდებულია, უსდ-მ სასწავლო კურსებში დოქტორანტთა შესაფასებლად დახურული კითხვების, თეორიული საკითხების, ტესტების და ზეპირი გამოკითხვების ნაცვლად უფრო ფართოდ გამოიყენოს შეფასების ისეთი მეთოდები, როგორიცაა ანალიტიკური რეფერატის, კვლევითი ნაშრომის/პროექტის, კვლევითი სტატიის მომზადება და მათი საჯარო პრეზენტაცია, კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით;
- რეკომენდებულია, სამეცნიერო ხელმძღვანელი იყოს აკადემიური პერსონალი, თანახელმძღვანელის შემთხვევაში შესაძლებელია მოწვეული პერსონალის არჩევა. აღნიშნული დაეხმარება დოქტორანტს სამეცნიერო-კვლევითი აქტივოის განხორციელებასა და პროგრამის დასრულებაში, შესაბამისად, დებულებაში დაზუსტებულია სამეცნიერო ხელმძღვანელის დანიშვნის წესი;
- რეკომენდირებულია, ამოქმედდეს აკადემიური პერსონალის წახალისება/მხარდაჭერა მექანიზმები სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის პროცესში;
- რეკომენდირებულია, დაიხვეწოს და ამოქმედდეს შიდა ხარისხის შეფასების ეფექტიანი მექანიზმები;
- რეკომენდირებულია, პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის ზუსტი მექანიზმების განსაზღვრა;
- რეკომენდირებულია, საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება განხორციელდეს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით;

რჩევები:

ა) სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ასევე ასახავდეს, თუ რა წვლილი შეაქვს პროგრამას დარგისა და საზოგადოების განვითარებაში, ასევე, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხებს;
ბ) სასურველია, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი უსდ-დან იღებდეს უფრო მეტ მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის.
გ) სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების გამჭვირვალობის მიზნით, უსდ-მ დააუზტსოს B2 დონის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატები და შესაბამისი ქულები, ხოლო, ინგლისური ენის შიდასაუნივერსიტეტო გამოცდისგან გაათავისუფლოს მხოლოდ ის პირები, რომელთაც მაგისტრატურის ან დოქტორანტური საფეხური გავლილი აქვთ ინგლისურ ენაზე ბოლო 2 წლის განმავლობაში;
დ) სასურველია, „სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით“ დეტალურად განისაზღვროს მიმღები (დარგობრივი) კომისიის მუშაობის წესიც;
ე) სასურველია, „სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში“ დაკონკრეტდეს, რომ დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს არა სდასუ-ს სამართლის სკოლის ნებისმიერი პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან ასისტენტ პროფესორი, არამედ მხოლოდ სამართლის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე სდასუ-ს სამართლის სკოლის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან ასისტენტ პროფესორი
ვ) სასურველია, სადოქტორო საფეხურზე უფრო ინტენსიურად იქნეს გამოყენებული პრობლემასა და კვლევაზე დაფუძნებული სწავლების მიდგომები, რაც, ხელს შეუწყობს დოქტორანტს განიმტკიცოს კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელებსი უნარი.
ვ) სასურველია, დოქტორანტის სწავლების მეთოდებისა და პროფესორის ასისტირებიდან გათავისუფლების შემთხვევაში, უფრო ნათლად განიმარტოს ასეთ შემთხვევებში საჭირო კრედიტების მინიჭებისა და დოქტორანტის სწავლების უნარის შეფასების მექანიზმები;
ზ) სასურველია, უსდ-მ უზრუნველყოს სამართლის სადოქტორო პროგრამის ვებგვერდზე განთავსება, რის შედეგადაც სტუდენტებს მიეცემათ პროგრამის გაცნობის საშუალება;
თ) სასურველია, უსდ-მ უზრუნველყოს ხელმძღვანელის შერჩევის პროცედურისა და მის მიმართ წაყენებული მოთხოვნების კონკრეტიკა და ბუნროვანი ნორმების აღმოფხვრა.
ი) სასურველია, დაზუსტდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამით ან პროგრამის დანართით (მიღების დოკუმენტით) პროგრამის დაშვების წინაპირობებისა და მიღების პროცედურების გარდა, დეტალურად აღიწეროს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებზე აპლიკანტთა შეფასების სისტემაც (შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი რუბრიკები); - რჩევაში
კ) სასურველია, სამართლის სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტში უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს ისეთ სასწავლო კურსებს/აქტივობებს, რომლებიც შეძენენ დოქტორანტს სამართლის სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებულ ცოდნას, რაც, საშუალებას მისცემს მას არა მხოლოდ გაიფართოვოს საკუთარი ცოდნის არეალი, არამედ შეძლოს საკითხის სისტემური და კრიტიკული ანალიზი;
ლ) სასურველია პროფესორის ასისტენტობის სილაბუსი ან თანდართული დოკუმენტები ითვალისწინებდეს პროფესორის ასისტენტობის გეგმას, რაც, გულისხმობს ყოველკვირეულად განსახორციელებელი აქტივობების მიზანს, შინაარსს, ასისტირებასთან დაკავშირებული დავალებების ინსტრუქციას და სხვა;
მ) სასურველია, უსდ-მ შეისწავლოს, როგორც ეროვნული, ისე უცხოური პრაქტიკა და შეიმუშავოს გასაჩივრების სამართლიანი, ობიექტური და მიუკერძოებელი ისეთი მექანიზმი, რომელიც საშუალებას მისცემს დოქტორანტს გაასაჩივროს არა მხოლოდ სადისერტაციო კომისიის საბოლოო შეფასება, არამედ სადისერტაციო ნაშრომის დაცვის რეგლამენტით გათვალისწინებით პროცედურული ნორმების დარღვევაც;

ნ) სასურველია, სამართლის სკოლის „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში“ დეტალურად აღიწეროს როგორც სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი კომისიის ფორმირების წესი, ასევე დოქტორანტის ყოველსემესტრული ანგარიშისადმი წაყენებული მოთხოვნები (მოცულობა, შინაარსი და ა.შ) სამართლის სკოლის „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით“ ასევე უნდა დაზუსტდეს განმავითარებელი შეფასების ფარგლებში დოქტორანტი მიიღებს თუ არა დოქტორანტისთვის დისერტაციის წარდგენამდე;
ო) სასურველია, გაუმჯობესდეს უსდ-ს მიერ აკადემიური პერსონალის საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში ჩართულობის, სამეცნიერო, კვლევითი და პროფესიული განვითარების მიზნით სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობის მხარდაჭერა;

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე -17
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და 3^1 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს - საქათველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა 7 წლის ვადით აკრედიტაცია, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენისა და 1 წელსა და 6 თვეში მონიტორინგის განხორციელების პირობით

21:05 სთ-ზე საბჭოს სხდომა დატოვეს საბჭოს წევრებმა გაიანე სიმონიამ და ანა ფირცხალაშვილმა.

მესამე საკითხი: სსიპ - სოხუმისსახელმწიფოუნივერსიტეტის „დიპლომატიისადასაერთაშორის ოპოლიტიკის“ სამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამისაკრედიტაციისსაკითხისგანხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა Diplomacy and International Politics
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-

6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -6
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0312, ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსიაიას ქ. N61
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერაკრედიტაციისსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება
√ არა
აკრედიტაციისსაბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება
√ კი
მაკა კაჭარავამ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით განაცხადა თვითაცილება. საფუძველს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი გვალიამ, აღნიშნა, რომ გაცემული რეკომენდაციების ნაწილი ეხება ცალკეული სასწავლო კურსების დამატების მოთხოვნას, მან აღნიშნა, რომ ზემოთჩამოთვლილი კურსების ნაწილი ტრანსფერული უნარების ხელშეწყობისკენაა ორიენტირებული, ხოლო, მეორე ნაწილი - თემატური, რაც, აუცილებელია იმისთვის, რომ შესაბამისი კვალიფიკაციის მიღწევა იყოს უზრუნველყოფილი. მან ასევე აღნიშნა, რომ ცალკეული კურსები იმსახურებს, რომ იყოს სავალდებულო, ხოლო, ზოგიერთი

რეკომენდირებულია, რომ იყოს არჩევითი. მისი თქმით, კიდევ ერთი რეკომენდაცია შეეხება სავალდებულო ლიტერატურის ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგში არსებობას და ასევე, საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების, მათ შორის ჯეი-სტორისა და სხვა ბაზების დანერგვას.

საბჭოსთავმჯდომარემმიმართადაწესებულებისწარმომადგენლებსდაეფიქსირებინათსაკუთარი პოზიცია:

დაწესებულების წარმომადგენელმა, რომეო გალდავამ აღნიშნა, რომ სახელმძღვანელოებთან და სამეცნიერო ბაზებთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს იზიარებენ. მან აღნიშნა, რომ ჯეი-სტროთან დადებული იყო ხელშეკრულება სამი წლის ვადით და ის ვიზიტის დროს იყო გაჩერებული. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქვს სამი ტიპის საცავი და ერთ-ერთი არის შიდა ქსელის საცავი, სადაც არსებული წიგნები ასე საჯაროდ ვერ იქნება გამოქვეყნებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გვანცა აბდალაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს. მისი თქმით, სასწავლო კურსების გარკვეული გადანაცვლება პრობლემას არ წარმოადგენს. მისი ხედვით, ის ეთანხმება გარკვეულ რეკომენდაციას მეთოდოლოგიასთან დაკავშირებული სასწავლო კურსის თაობაზე და აღნიშნა, რომ მშვიდობის მშენებლობასთან დაკავშირებულ სასწავლო კურსს, პროგრამა დაამატებს და იზიარებს მოსაზრებას, რომ შედარებითი პოლიტიკის სილაბუსი სამაგისტრო საფეხურზეც იქნება დამატებული. მან ასევე აღნიშნა, რომ წიგნის მარტივად მოძიებადობას ეთანხმებიან და მისი თქმით, სათაურში ავტორი და წიგნის სახელი იყო გადანაცვლებული და ბიბლიოთეკარი ეძებდა გვარის სახელით. მისი თქმით, ის იღებს პასუხისმგებლობას, რომ სილაბუსებში არსებული ყველა ძირითადი ლიტერატურა ასახულია ელექტრონულ კატატოგში და შესაძლებელია, იყოს ნანახი და გამოყენებული სტუდენტის მხრიდან. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ჩათვალა, რომ კვირების მიხედვით სილაბუსების განაწილება არ მიაჩნდა მიზანშეწონილად, თუმცა, მისი თქმით, ყველა რეკომენდაცია მისაღებია და არ წარმოადგენს მისი შესრულება პრობლემას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვალერი ჩეჩელაშვილმა, აღნიშნა, რომ პროგრამა იზიარებს გაცემულ რეკომენდაციებსა და რჩევებს. მან აღნიშნა, რომ გაცემული რეკომენდაცია საგარეო პოლიტიკის ანალიზის თაობაზე, სხვადასხვა სილაბუსში კომპონენტებადაა გაშლილი და იზიარებენ ექსპერტების მოსაზრებას და სერიოზულად მუშაობენ ამ მიმართულებით და აღნიშნულ სასწავლო კურსს წაიკითხავს საქართველოს ყოფილი ელჩი ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში და ის პროგრამაში ჩასმული იქნება სავალდებულო სასწავლო კურსის სახით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები:
საბჭოს წევრი, გაიოზ ფარცხალაძე, დაინტერესდა, რატომ არ ხდებოდა ლიტერატურის მითითება საკითხების მიხედვით და ასევე დაინტერესდა რა საერთაშორისო ურთიერთობები აქვს დაწესებულებას და რომელ უნივერსიტეტთან აქვს პარტნიორობა.

საბჭოს წევრი, თეონა მატარაძე, დაინტერესდა კვლევის მეთოდებთან და აკადემიური წერის სასწავლო კურსთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ აკადემიური წერის კომპონენტი ნაკლებადაა და ასევე, ფოკუსი არის რაოდენობრივ კვლევაზე. მან იკითხა, აკადემიურ წერას უფრო უჭერენ მხარს თუ თვისებრივი კვლევის მეთოდების დამატებას. მან იკითხა, როგორ შეიძლება ესე იყოს კვლევის მეთოდების გამოცდის შეფასების ინსტრუმენტი.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, აღნიშნა, რომ საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია აუცილებლად უნდა იყოს სავალდებულო სასწავლო კურსი, თუმცა, ეკონომიკის საფუძვლები რატომ უნდა იყოს წინაპირობა ამ საკითხის, როცა მენქიუს თემატიკა უფრო საბაკალავრო

დონეა. მან აღნიშნა, რომ შრომის ბაზრის კვლევა ორ ადამიანთან ვერ ჩაანაცვლებს რეალურ შრომის ბაზრის კვლევას, მან ასევე ითხოვა განმარტება, პროგრამული ბიუჯეტის საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ფირცხალავამ, აღნიშნა,რომ ცალკეულ სილაბუსებში სწავლის შედეგები უცნაურადაა ჩამოყალიბებული, მან მოიყვანა რამდენიმე სილაბუსის მაგალითი, მათ შორის ცოდნის კატეგორიასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ რამ გამოიწვია ასეთი სწავლის შედეგების ფორმულირება და რამდენადაა, მისი შეფასება შესაძლებელი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი გვალიამ, აღნიშნა, რომ აკადემიური წერა, მართალია შემადგენელია საბაკალავრო პროგრამებისა, თუმცა, სამაგისტრო დონეზეც არ იქნება ზედმეტი და აღნიშნული კარგი ინსტრუმენტია. მან აღნიშნა, რომ ხშირად აკადემიურ წერა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც კვლევითი უნარების ჩამოყალიბებისთვის, მნიშნელოვანია მისი ცალკე არსებობა. მან აღნიშნა, რომ კვლევის მეთოდების კურსში მოიაზრება თვისებრივი კვლევის ნაწილიც, და, მისი თქმით, ექსპერტების გაცემული რეკომენდაციები, სწორედ იმისკენაა მიმართული, რომ თვისებრივი კომპონენტი გაძლიერდეს.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ნინო ფავლენიშვილმა აღნიშნა, რომ აკადემიური წერის მიზანი სამაგისტრო საფეხურზე ისაა, რომ სტუდენტმა ისწავლოს სამაგისტრო ნაშრომისთვის აუცილებელი კომპონენტები, მათ შორის ფორმატი. მან აღნიშნა, რომ კვლევის მეთოდებში დისბალანსი აშკარაა, ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ კვლევის მეთოდები ორ ნაწილად ყოფილიყო დანაწილებული. მან აღნიშნა, რომ ვინაიდან ესაა ახალი პროგრამა ჯობდა მინიმალური ჩარევა სისტემურად აგებულ პროგრამაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გვანცა აბდალაძემ, აღნიშნა, რომ ვინაიდან სილაბუსი ხელახლაა დასაწერი, ხოლო სასწავლო კურსი ითვალისწინებდა ესეს, რაშიც, ლექტორი შეაფასებდა მიღწეულ შედეგებს. მან აღნიშნა, რომ მიღების წინაპირობა ღიაა და, პროგრამაც, ცდილობს იყოს ინტერდისციპლინური, თუმცა, სამართლისა და ეკონომიკის საკითხები უფრო მეტად უნდა იყოს მორგებული პოლიტიკის საკითხებს. მისი თქმით, ლიტერატურის მითითება უცხო ენებში იყო დამატებული და მოცემული რეკომენდაციები მისაღებია. მან აღნიშნა, რომ პროგრამა იყენებს უნივერსიტეტის ფარგლებში არსებულ მემორანდუმებს და უშუალოდ მოცემული პროგრამის ფაგრლებში დაიდო კონკრეტული მემორანდუმი. მან ასევე თქვა, რომ შრომის ბაზრის კვლევა გარკვეულ თავისებურებას გულისხმობს, რაც, აფხაზეთის მთავრობის გარკვეულ ქვესტრუქტურებთან ურთიერთობასა და თანამშრომლობას გულისხმობს. რაც შეეხება სილაბუსებში სწავლის შედეგების საკითხს, მან აღნიშნა, რომ დააკვირდებიან და თქვეს, რომ დაწესებულებას მოუწევს ცალკეულ სილაბუსებთან შეხება და სტრუქტურის გამართვა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, რომეო გალდავამ, აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოსთან ეს საკითხი დასმულია და პროგრამის ბიუჯეტის წარმოდგენის ფორმა იქნება განსხვავებულად წარმოდგენილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვალერი ჩეჩელაშვილმა, აღნიშნა, რომ კავკასიის სახელმწიფო უნივერსიტეტთან დაიდო მემორანდუმი და თანამშრომლობის გაძლიერება. მისი თქმით, იქნება აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამები, ვინაიდან უკრაინელი ლექტორები უკეთ ფლობენ ციფრულ დიპლომატიას, ხოლო, ქართველები - სამხრეთ კავკასისი თემებს და ა.შ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 22:40
დასრულების დრო: 22:55

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის გზით.

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება. კერძოდ, 1.2 კომპონენტს დაემატა რეკომენდაცია და შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; 2.2 კომპონენტში ამოღებულ იქნა ერთი რეკომენდაცია; 2.3 კომპონენტში დამატებულ იქნა რეკომენდაციები; მეოთხე სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, 4.4 კომპონენტში დამატებულ იქნა რეკომენდაცია. 5.1 კომპონენტს დაემატა რეკომენდაცია და შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

გაიზიარაექსპერტთამიერგაცემულირეკომენდაცი(ებ)იდაჩამოაყალიბაშემდეგირედაქტირებით:

- რეკომენდირებულია, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
- რეკომენდირებულია, საგანმანათლებლო პროგრამას დამოუკიდებელ სასწავლო კურსებად დაემატოს აკადემიური წერისა და რაოდენობრივი კვლევის მეთოდების კურსები;
- რეკომენდირებულია, პროგრამას დაემატოს შემდეგი თემატური სასწავლო კურსები: საგარეო პოლიტიკის ანალიზი; კონფლიქტისა და მშვიდობის კვლევები; შედარებითი პოლიტიკა;
- რეკომენდირებულია, საერთაშირისო პოლიტიკური ეკონომიკის კურსს მიენიჭოს სავალდებულო კურსის სტატუსი, ხოლო საერთაშორისო ეკონომიკის კურსს - არჩევითი კურსის სტატუსი;
- რეკომენდირებულია, სასწავლო კურსს „Contemporary International Contract Law and Practice” მიენიჭოს არჩევითი სასწავლო კურსის სტატუსი, ნაცვლად სავალდებულოსი;
- რეკომენდირებულია, სასწავლო კურსს „დიპლომატიური პროტოკოლი და ეთიკა“ მიენიჭოს სავალდებულო სასწავლო კურსის სტატუსი;
- რეკომენდირებულია, პროგრამის მიზნებიდან და შინაარსთან შეუსაბამობის გამო, გადაიხედოს სასწავლო კურსის „აქსიოლოგია და ეგზისტენციალური კრიზისი“ წარმოდგენილ პროგრამაში ჩართვის მიზანშეწონილობის საკითხი;
- რეკომენდირებულია, სასწავლო კურსებში სავალდებულო ლიტერატურა გაიწეროს სასწავლო კვირების მიხედვით;
- რეკომენდირებულია, ცალკეულ სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს მკაფიო და გაზომვადი სახით;
- რეკომენდირებულია, სასწავლო კურსი „ეკონომიკის თეორია“ ჩანაცვლდეს სამაგისტრო საფეხურისთვის რელევანტური კურსით;
- რეკომენდირებულია. გადაიხედოს პოლიტიკის მეცნიერების კვლევის მეთოდების კურსი და დაბალანსდეს კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდებით;

- რეკომენდირებულია, ბიბლიოთეკაში, სრულად, გამონაკლისის გარეშე, ხელმისაწვდომი იყოს პროგრამის სავალდებულო ლიტერატურა;
- რეკომენდირებულია, პროგრამის რელევანტურ ონლაინ სამეცნიერო ბაზებზე წვდომის განახლება ან მათი შესყიდვა, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება ინსტიტუციური წვდომის ქონა შემდეგ სამეცნიერო ბაზებზე: EBSCO, JSTOR, Muse Project, Taylod and Francis Online;
- რეკომენდირებულია, პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა;
- რეკომენდირებულია, გაძლიერდეს საგანმანათლებლო პროგრამის შიდა ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების ეფექტიანი მექანიზმები;

რჩევები

ა) სასურველია, დაზუსტდეს სპეციალობაში წერითი გამოცდა კონკრეტულად რა სახის და რა მოცულობის წერითი ნაშრომის შესრულებას გულისხმობს

ბ) სასურველია, დაზუსტდეს ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელი რომელი საერთაშორისო სერტიფიკატები ჩაითვლება ვალიდურად;

გ) სასურველია, პროგრამაზე მიღების ეტაპზე დამატებითი ზეპირი გასაუბრების კომპონენტის ჩართვა;

დ) სასურველია, უსდ-მ უფრო აქტიურად გამოიყენოს პლაგიატის სისტემა პროგრამის განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე, კერძოდ, საჭიროების შემთხვევაში პლაგიატზე მოხდეს არა მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომის, არამედ სასწავლო კურსების შუალედური და ფინალური წერითი ნაშრომების (ესეების, რეფერატების) შემოწმება;

ე) სასურველია, უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს, თუ როგორ იყენებს დაწესებულება პერსონალის შეფასების შედეგებს კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას;

ვ) სასურველია, გაიზარდოს სტუდენტური პროექტების დაფინანსებისთვის განსაზღვრული თანხის ოდენობა;

ზ) სასურველია, პროგრამის ბიუჯეტში უფრო რეალისტური ფინანსური რესურსები იქნას გათვალისწინებული პროგრამის აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებელი აქტივობების მხარდასაჭერად;

თ) სასურველია, დაზუსტდეს, რა კავშირშია ბიუჯეტში მოცემული მუხლი „მიმდინარე რემონტის ხარჯი“, რომელიც ითვალისწინებს ფინანსურ რესურსს 500 ლარის ოდენობით, წარმოდგენილ სამაგისტრო პროგრამასთან.

ი) სასურველია, დოკუმენტში „სადოქტორო ნაშრომის დაცვა“ დაზუსტდეს და განივრცოს ტრანსფერული უნარები და კომპეტენციები, რომელთა განვითარებაშიც სადოქტორო კვლევა ხელს უწყობს დოქტორანტს.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ

ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე, ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

მეოთხე საკითხი: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების გზით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი Law
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 27 ივნისის N143 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -6
9	კვალიფიკაციის დასახელება	სანართლის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0412 სამართალი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0312, ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსიაიას ქ. N61
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერაკრედიტაციისსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება

√ არა

აკრედიტაციისსაბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება

√ კი

მაკა კაჭარავამ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით განაცხადა თვითაცილება. საფუძველს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა:

ექპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი მახარობლიშვილმა, აღნიშნა, რომ ვიზიტის გარეშე სრულად შემოწმდა პროგრამა და ეს საკმაოდ რთული იყო მისთვის მონიტორინგი. მან აღნიშნა, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები შეეხებოდა მე-2 სტანდარტს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია:

დაწესებულების წარმომადგენლმა, რომეო გალდავამ, აღნიშნა, რომ პირველი რეკომენდაცია, ვებ-გვერდთან დაკავშირებით, შესრულებულია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვეფხვია გვარამიამ, აღნიშნა, რომ 2021 წლის 19 მარტს აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების დანართში აისახა დამტკიცებული პროგრამა და ამდენად, არ იყო ასახული ვებ-გვერდზე. მან აღნიშნა, რომ ეს უკვე გათვალისწინებულია. მან აღნიშნა, რომ პროგრამა 120 კრედიტიანია და წარმოდგენილი რეკომენდაცია პრაქტიკული კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსად გადატანასთან დაკავშირებით, აუცილებელია იმის აღნიშვნა რომ ესაა სავალდებულო-არჩევითი სასწავლო კურსი. მან ასევე აღნიშნა, რომ რიგით მესამე რეკომენდაციაც მისაღებია. მან დაამატა, რომ როცა ლიტერატურაა მითითებული, ქვემოთ აღნიშნულია, რომ ის ხელმისაწვდომია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში. რაც შეეხება ინგლისურენოვან ლიტერატურას, გაითვალისწინებენ იმას, რომ უცხო ენა იყოს წინაპირობა. მანვე აღნიშნა, რომ სტუდენტების უმრავლესობა აბარებს არა გერმანული, არამედ ინგლისური ენის გამო. მისი თქმით, ის თავად მუშაობდა მემორანდუმებზე მას შემდეგ, რაც, შემუშავდა დარგობრივი დოკუმენტი. მან აღნიშნა, რომ არის მემორანდუმის ორი ტიპი: პირველი ტიპის ორგანიზაციები, რომლებიც თანხმდებიან პრაქტიკას და მეორენი, რომლებიც ვერ თანხმდებიან. მისი თქმით, ცესკოსთანაც განახლდება მემორანდუმი. მისი თქმით, ბოლო რეკომენდაციასაც გაითვალისწინებენ.

საბჭოსთავმჯდომარემმიმართასაბჭოსწევრებსწარმოედგინათმოსაზრებები:

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, იკითხა რა ვადები სჭირდება ახალ ჩარჩოსთან შესაბამისობას, მოცემული პროგრამის შემთხვევაში;

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა იკითხა, რამ გამოიწვია 2,2 ქვესტანდარტთან ნაწილობრივი შესაბამისობა

გიორგი მახარობლიშვილმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის დროს შედარება აუცილებლად ხდება ახალ დარგობრივ მახასიათებელთან. მან აღნიშნა, რომ ახალი ჩარჩო მკაფიოდ მიჯნავს საბაკალავროს და სამაგისტროს, პრაქტიკულ კომპონენტთან დაკავშირებით და ასევე, სავალდებულო სასწავლო კურსების მიმართება სწავლის შედეგებთან, ეს საკმაოდ რთულად შესაფასებელია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვეხფვია გვარამიამ აღნიშნა, რომ როგორც წინა, ისე ახალი დარგობრივი სტანდარტი პრაქტიკულ კომპონენტთან დაკავშირებით გულისხმობდა 30 კრედიტს. მან აღნიშნა, რომ აქვთ სამოქალაქო, სისხლის, საჯაროს მიმართულებით კლინიკები. ამდენად, მისი ხედვით, ეს პროგრამის შედეგებზე გასვლას უზრუნველყოფს.

სხდომაზეგამოცხადდასათათბიროშესვენება
დაწყებისდრო: 23:15
დასრულებისდრო: 23:20

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის დარჩენილი რეკომენდაციების შესასრულებლად 60 დღიანი კალენდარული ვადის მინიჭების საკითხი.

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული შეფასებები. კერძოდ, 1.2-ში არსებული რეკომენდაცია გადაიტანა რჩევად და ქვესტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; ასევე 2.4 ქვესტანდარტში არსებული რეკომენდაცია გადაიტანა რჩევად და ქვესტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. აკრედიტაციის საბჭომ დაწესებულებას შესასრულებლად განუსაზღვრა შემდენი რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია, პრაქტიკული კომპონენტი არჩევითის ნაცვლად, განისაზღვროს, როგორც სავალდებულო კომპონენტი;
2. რეკომენდირებულია, გადაიხედოს პროგრამის სტრუქტურა და განისაზღვროს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში მონაწილე სავალდებულო სასწავლო კურსები სამართლის არსებული დარგობრივი მახასიათებლებისა და პროგრამის სწავლის შედეგების მიხედვით;
3. რეკომენდირებულია, რომ სავალდებულო ლიტერატურად უცხოურენოვანი რესურსების მითითების შემთხვევაში, სასწავლო კურსის წინაპირობად განისაზღვროს შესაბამისი უცხო ენა;
4. რეკომენდირებულია, რომ სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების ურთიერთმიმართების რუკაზე განისაზღვროს თითოეული სავალდებულო სასწავლო კურსის მიმართება პროგრამის კონკრეტულ სწავლის შედეგთან.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტისა და 31-ე მუხლის 24-ე პუნქტის საფუძველზე, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს განესაზღვრა 60 დღიანი ვადა

„სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად.

23:15სთ-ზე სხდომა დატოვეს დავით კაპანაძემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა და ნინო იმნაძემ.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მათემა ტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების შე მოწმებით გზით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
2	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მათემატიკა
3	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
4	სტატუსი	აკრედიტებული
5	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტაციის საბჭოს**2018 წლის 22 ნოემბრის N159 გადაწყვეტილება**
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -6
9	კვალიფიკაციის დასახელება	მათემატიკის ბაკალავრი 0501
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0541 მათემატიკა Mathematics
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0160, მ. კოსტავას N77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერაკრედიტაციისსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება
√ არა

აკრედიტაციისსაბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება
√ არა

ექსპერტების პოზიციის განხილვა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ია ნაცვლიშვილმა, აღნიშნა, რომ შეისწავლეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები. მან აღნიშნა, რომ ჯგუფის თავმჯდომარემ განახორციელა შინაარსის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან შესაბამისობა, მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები, სტრუქტურა, შინაარსი და ა.შ სრულად შეესაბამება ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს. მან აღნიშნა, რომ პროგრამას გავლილი აქვს აკრედიტაცია და მონიტორინგის შედეგები ისაა, რომ პროგრამა კვალიფიკაციათა ჩარჩოს მოთხოვნებს შეესაბამება.

საბჭოსთავმჯდომარემმიმართადაწესებულებისწარმომადგენლებსდაეფიქსირებინათსაკუთარი პოზიცია:

ქეთევამ კოტეტიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამას გადასვლა მოუწია N69ნ-ზე გადასვლა და დაამატა, რომ პროგრამას წარმატებული სტუდენტები ჰყავს და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს.

საბჭოსთავმჯდომარემმიმართასაბჭოსწევრებსწარმოედგინათმოსაზრებები:

საბჭოს წევრებს დამატებითი მოსაზრებები არ ჰქონიათ.

სხდომაზეგამოცხადდასათათბიროშესვენება
დაწყებისდრო: 23:30
დასრულებისდრო: 23:35

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მათემატიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლია იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად, 14 ხმით არცერთის წინააღმდეგ, შეწყდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მათემატიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

მეექვსე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიოსამედიცინო ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმებით გზით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
2	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიოსამედიცინო ინჟინერია
3	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
4	სტატუსი	აკრედიტებული
5	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტაციის საბჭოს 2019წლის 29 მარტის N84 გადაწყვეტილება
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -6
9	კვალიფიკაციის დასახელება	0403 ინჟინერიის ბაკალავრი ხელსაწყოთმშენებლობაში, ავტომატიზაციასა და მართვის სისტემებში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0719 მეცნიერების ბაკალავრი ინჟინერიაში
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0160, მ. კოსტავას N77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერაკრედიტაციისსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება
√ არა
აკრედიტაციისსაბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა:

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგი კვალიფიკაციის შესაბამისობასთან დადგენა და დაამატა, რომ რჩევები გაიცა და სასურველია მისი გათვალისწინება და უფრო სწრაფად და ხარისხიანად მიიღწევა ამ მიმართულებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია:

დაწესებულების წარმომადგენელმა, ქეთევან კოტეტიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამა საკმაოდ წარმატებული, აქტუალურია და მნიშვნელოვანია მისი გაძლიერება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი რჩევები აუცილებლად იქნება გათვალისწინებული, მათ შორის უცხოურ ენასთან დაკავშირებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები:

საბჭოს წევრემს დამატებითი მოსაზრებები არ ჰქონიათ.

სხდომაზეგამოცხადდასათათბიროშესვენება
დაწყებისდრო: 20:40
დასრულებისდრო: 20:50

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიოსამედიცინო ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლია იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად, 14 ხმით არცერთის წინააღმდეგ, შეწყდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

„ბიოსამედიცინო ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

ყველა გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დასრულდა 23:55სთ-ზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ